აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№20 (25.148) 31 მაისი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 23-28 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

თორნიკე რიჟვაძე: გამჭვირვალობის კანონი კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს სახელმწიფოებრიობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

საქართველოს პარლამენტის მიერ ვეტოს დაძლევისა და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების ფაქტი დღეს აჭარის მთავრობის სხდომაზე შეაფასეს. რეგიონის მეთაურმა თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა, რომ გამჭვირვალობის კანონის დადებით შედეგებს მოსახლეობა ძალიან მალე დაინახავს

„მინდა გამოვეხმაურო საქართველოს პარლამენტის მხრიდან ვეტოს დაძლევას და უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღებას. მსურს, მადლობა გადავუხადო უმრავლესობის თითოეულ დეპუტატს, რომლებმაც არნახული ზეწოლის მიუხედავად, შეძლეს მტკიცედ მიეღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც მნიშვნელოვანია გრძელვადიანად ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისთვისა და დამოუკიდებლობისთვის. ხალხს აქვს აბსოლუტური უფლება, იცოდეს ყველა ორგანიზაციის გამჭვირვალობის შესახებ, რომლებიც უცხოურ ინტერესს ატარებენ, დადებითს თუ უარყოფითს. შესაბამისად, მჯერა, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქე დარწმუნდება ამ კანონის მნიშვნელობაში და შეუძლებელია, გამჭვირვალობა შეუსაბამო იყოს ევროპულ ღირებულებებთან და ფასეულობებთან. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის პირველივე სხდომაზე, მთავრობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება დაასახელა ერთ-ერთ მთავარ პრინციპად. შესაბამისად, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და კერძო სტრუქტურების მიმართ მთავარი მოთხოვნა და მოლოდინი გახლავთ გამჭვირვალობა და შედეგებიც, მათ შორის მთავრობის გამჭვირვალობასთან მიმართებით, გვაქვს სახეზე. იცით, რომ გამოქვეყნდა ღია ბიუჯეტის ინდექსი, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს ბიუჯეტი ღიაობით არის პირველ ადგილზე 125 ქვეყანას შორის. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რამდენად გამჭვირვალედ მოქმედებს მთავრობა და სამთავრობო სტრუქტურები, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ასევე, მისი შესრულების ნაწილში. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის დაკვეთა შესრულდა. მოგეხსენებათ, რომ ამ კანონს მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, და ჩვენმა უმრავლესობამ პარლამენტში, პატრიოტული და მტკიცე სულისკვეთებით დაამტკიცა და განამტკიცა ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მიუხედავად წარმოუდგენელი ზეწოლისა და არნახული წნეხისა. ბოლო 12 წლის განმავლობაში, საქართველო არის უფრო ძლიერი, უფრო დამოუკიდებელი და შესაბამისად, ჩვენი პარტიის დამფუძნებლის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით, წარმოუდგენელი რისკის ფასად, „ქართული ოცნების“ პირობებში, ვერავინ შეძლებს, ჩვენს ხალხს გარედან დაუნიშნონ და აურჩიონ მთავრობა, შეძლონ ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევა. შესაბამისად, გამჭვირვალობის კანონი ძალიან მალე მოგვცემს შედეგებს, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს სახელმწიფოებრიობას, ჩვენს სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას, რომელიც არის ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობის წინაპირობა“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარემ, მოახლოებულ ტურისტულ სეზონზეც ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, აქტიური სამზადია ამ მიმართულებით. თორნიკე რიჟვაძემ ტურიზმის დეპარტამენტისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს, კოორდინირებული მუშაობისკენ მოუწოდა. როგორც მან აღნიშნა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ რეგიონმა ღირსეულად ჩაატაროს ტურისტული სეზონი.

„ბოლო თვეების განმავლობაში 10 პროცენტით არის გაზრდილი უცხოელ ვიზიტიორთა რაოდენობა აჭარაში, ასევე, გვაქვს ზრდის დინამიკა ბათუმის აეროპორტში. ამ ეტაპზე 12 მიმართულებით ხორციელდება ფრენები. შესაბამისად, მოლოდინი გვაქვს ძალიან პოზიტიური. უნდა შევძლოთ, რომ ჩვენმა მოსახლეობამ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს წლევანდელი ტურისტული სეზონით.

განახლებული ინფრასტრუქტურით ვხვდებით სეზონს. ბათუმის ბულვარში განახლდა პარკები, სკვერები, ველობილიკი, სხვადასხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა. მაღალმთიან აჭარაში დინამიკურად მიმდინარეობს ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა. წელს დამსვენებლებს ექნებათ შესაძლებლობა, ახალ ტურისტულ ადგილებს ეწვიონ“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ და განაცხადა, რომ კორექტირებულ ბიუჯეტს მალე წარუდგენენ უმაღლეს საბჭოს. მისივე თქმით, იგეგმება პროგრამების გაფართოება, დაფინანსების ზრდა.

„ჯანდაცვის მიმართულებით 30%-ზე მეტით ვგეგმავთ დაფინანსებას, შესაბამისად, 3 მლნ ლარით იზრდება ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტების მკურნალობა. აქტიურად მიმდინარეობს მაღალმთიან აჭარაში და ასევე, საზაფხულო იალაღებზე მოსახლეობის ავადობის კვლევა. დაახლოებით 500-მდე ბენეფიციარი იქნება გამოკვლეული. მათ ჩაუტარდებათ ყველა შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. იზრდება 16 წლამდე ასაკის ბავშვების დაფინანსება. სარეიტინგო ქულების ფარგლებში 3000-ზე მეტი ოჯახი ყოველთვიურად ისარგებლებს 200-ლარიანი დახმარებით. ჩვენ გავაგრძელებთ სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის განხორციელებას, მათ შორის, საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას.

სიახლეები გვაქვს განათლების მიმართულებით. სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობა პრაქტიკულად შეუფერხებლად მიმდინარეობს. წელს, ბიუჯეტის კორექტირების ფარგლებში, 12 სკოლა აღიჭურვება თანამედროვე ლაბორატორიებით. სტუდენტთა დაფინანსების ნაწილშიც გვაქვს ცვლილებები: გაიზრდება ქულები და შესაბამისად, ბენეფიციართა რაოდენობა. უკვე, 50%-იანი გრანტით დაფინანსებული სტუდენტებიც ისარგებლებენ სტიპენდიით. ასევე, გაიზრდება სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებაც 150 000 სოციალური ქულის ფარგლებში.

სოფლის მეურნეობის მიმართულებითაც გაფართოვდება პროგრამები. ვგეგმავთ, რომ 3000-ზე მეტმა ფერმერმა სოფლად მიიღოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ამ მიმართულებით, უკვე გათვალისწინებულია შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნება. ასევე, ძალიან აქტიურად წარიმართება სოფლად მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 2 საკითხზე იმსჯელეს და დაამტკიცეს, რომელიც მთავრობას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა გააცნო.

ოპოზიცია - «პრეზიდენტის ქოლგის» ქვეშ 2

გამოწვევები, რომლებიც გადასაჭრელია... 3

გინესის შუახევის რეკორდსმენი 7

«სიყვარული ერთადერთია, რასაც ხარჯავ და... ბევრდება» 8

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ოპოზიცია – „პრეზიდენტის ქოლგის" ქვეშ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ 595 85 80 06

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ კანონზე პრეზიდენტის ვეტო, 84 ხმით 4-ის წინააღმდეგ, დაძლეულია, პარლამენტში ხმაურიანი განხილვები დასრულდა

მანამდე საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი „ქართული ქარტიის" შექმნის ინიციატივით გამოვიდა და ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდა, კერძოდ, მან პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზა შეჯერება ყველა იმ საკითხზე, რომელთა შესრულებაც, მისი განცხადებით, აუცილებელია ევროპული ინტეგრაციისთვის, ქვეყანაში დემოკრატიისა და სამართლიანი სახელმწიფოს დამკვიდრებისთვის.

„თქვენ ახლა ყველა კონკრეტულ გეგმას ელოდებით და მე მევალება, თუ ვთვლი, რომ მევალება და ვაცნობიერებ ასეთ პასუხისმგებლობას, ვუპასუხო ამ დიდ მოლოდინს და ერთად დავსახოთ ეს გზა, რომელიც მიგვიყვანს ჩვენს საკუთარ თავთან, პირველ რიგში, და ევროპაში ამავდროულად. ეს გზა არის არჩევნების გზა. 26 ოქტომბერს არჩევნებამდე უნდა მივიდეთ მშვიდობიანად და სტაბილურობით. უნდა მივიდეთ ისევე მობილიზებულად, როგორც აქამდე და ამავე დროს, გავუფრთხილდეთ და შევინარჩუნოთ ეს მშვიდობა და სტაბილურობა", - განაცხადა პრეზიდენტმა.

„ქართული ოცნების" მხარდაჭერით არჩეული პრეზიდენტი ახლა ცდილობს, ოპოზიცია გააერთიანოს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს სალომე ზურაბიშვილი თავადაც ოპოზიციონერი გახდა და მმართველ გუნდში აღარ არის გასაკვირი მისი ქმედებები.

პრეზიდენტის თქმით, ქარტია არ მოითხოვს და არ გულისხმობს არც ერთიან სიას, არც რაიმე სხვა ფორმით აუცილებელ პოლიტიკურ გაერთიანებას და ამ ქარტიის შემდეგ ოპოზიციონერებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, როგორი იქნება მათი საარჩევნო ტაქტიკა და სტრატეგია.

ისინი, ვინც „ქართულ ქარტიას" ხელს მოაწერს, ერთად იმუშავებენ ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე დაჩქარებული ნაბიჯების გადასადგმელად.

პრეზიდენტის თქმით, 2024 წლის არჩევნების შედეგად აირჩევენ პარლამენტს, კონკრეტული ვადით და კონკრეტული ევროპული გეგმის შესასრულებლად. ამ მიზნამდე გზა სალომე ზურაბიშვილს შემოდგომაზე დროებითი მთავრობის შექმნით ესახება, რომლის წარდგენის უფლებამოსილება თავად უნდა ჰქონდეს, ქარტიით გათვალისწინებული რეფორმების გატარების შემდეგ კი გეგმა ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებს.

პრეზიდენტმა, ასევე, ახსენა, რომ „ქართულ ქარტიაზე" ხელმოწერისთანავე უნდა შეთანხმდნენ ოპოზიციური პარტიები, რომ თუ წელს არჩევნებში ისინი გაიმარჯვებენ, მოხდება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" და ოფშორების შესახებ კანონების გაწვევა, ასევე, მათ უნდა ჩაატარონ რეფორმები შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს პროკურატურაში, სუს-ში, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, ანტიკორუფციულ სააგენტოში, ეროვნულ ბანკსა და მარეგულირებელ ორგანოებში.

სალომე ზურაბიშვილმა გაუსვა ხაზი, რომ ამ გეგმას სთავაზობს პოლიტიკურ პარტიებს, ყველა იმ პარტიას, რომელსაც აქვს პრეტენზია და ამბიცია, რომ იყოს პროევროპული, პროდასავლური. მათ 1-ელ ივნისამდე უნდა გადაწყვიტონ, იღებენ თუ არა ძალიან

რთულ პასუხისმგებლობას ქართველი ხალხის წინაშე ამ ნაბიჯების გადადგმასა და შესრულებაზე.

უკვე ცნობილია იმ პარტიების ნაწილი, რომლებიც შეუერთდებიან ქარტიას. მეტიც, ამ გეგმის გამოცხადებიდან სულ რამდენიმე წუთში გარკვეულმა პოლიტიკურმა პარტიებმა გამოთქვეს მასზე ხელმოწერის სურვილი.

პარტია „ახალის" ერთ-ერთი ლიდერის ნიკა გვარამიას თქმით, სალომე ზურაბიშვილის მიერ ინიცირებულ ტექსტში მიუღებელი არაფერია და პარტია მას შეუერთდება.

ასევე, ქარტიას უერთდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", „დროა", „სტრატეგია აღმაშენებელი", „გირჩი - მეტი თავისუფლება", „ევროპული საქართველო", საპარლამენტო ჯგუფი „ევროოპტიმისტები", თამარ კორძაია და თაკო ჩარკვიანი.

ქარტიას ხელს მოაწერს „ლელოც". პარტიის წარმომადგენელ ბადრი ჯაფარიძის თქმით, ეს არის სწორედ მკაფიო გეგმა და „ლელო" აუცილებლად შეუერთდება ქარტიას, ვინაიდან ის შეესაბამება მთავარ მიზანს, რომელიც ახლა საზოგადოებას და ყველა პროევროპულ პარტიას აქვს, რომ „ქვეყანა დაბრუნდეს ევროინტეგრაციის გზაზე ძალიან სწრაფად."

ჯერჯერობით უცნობია გახარიას პარტიის გადაწყვეტილება, თუმცა „საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ დაუშვილი ამბობს, რომ არის საკითხები, რომელთა ირგვლივაც მათ სჭირდებათ კომუნიკაცია ქარტიის ინიციატორ სალომე ზურაბიშვილთან, თუმცა იმაში თანხმდებიან, რომ გარკვეული რეფორმები, რაც ქარტიაშია აღნიშნული, აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

რაც შეეხება მმართველ გუნდს, ისინი აცხადებენ, რომ ზურაბიშვილისა და ოპოზიციის ქარტია საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულების აქტია, თავად პრეზიდენტი კი - ოპოზიციის მხრიდან საარჩევნო კამპანიის ნაწილი. მმართველ გუნდს მიაჩნია, რომ ამით ზურაბიშვილმა კონსტიტუცია კიდევ ერთხელ დაარღვია.

„ქართული ოცნების" წევრ ნინო წილოსანის თქმით, სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილის ადგილი დაიკავა.

„ალბათ ყველაზე მეტი სანერვიულო მიხეილ სააკაშვილს აქვს, რომელსაც იმიტომ კი არ იწყალებდით, რატომაც ჩვენ და საზოგადოებას გვეგონა, არამედ არ იწყალებდით იმიტომ, რომ მისი ადგილის დაკავება გსურდათ. ვულოცავთ ქალბატონ სალომეს, ის ისტორიაში შევა გზა და მორალაცდენილი ოპოზიციის ნეოსააკაშვილად". - აღნიშნა წილოსანმა.

მმართველ გუნდში ასევე მიაჩნიათ, რომ ქარტია იყო არა ზურაბიშვილის და ოპოზიციის, არამედ მათი გარე დამკვეთების მიერ შემუშავებული. აღსანიშნავია საქართველოს პრეზიდენტის კიდევ ერთი ინიციატივა - რეფერენდუმი, რომელიც საზოგადოებას 28 მაისს შესთავაზა. როგორც სალომე ზურაბიშვილმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის მოწინააღმდეგეებისადმი მიმართვაში განაცხადა, რეფერენდუმი იქნება იმის თაობაზე, თუ რა უნდა საქართველოს მოსახლეობას - ევროპული მომავალი, თუ რუსული. მან მოქალაქეებს ხელმოწერების შეგროვებისკენ მოუწოდა.

„გაბრაზებულები ხართ ხომ?! გაბრაზდით, მაგრამ დავიწყოთ საქმე. საქმე არის, რომ უნდა მოვამზადოთ, პირველ რიგში, ნამდვილი რეფერენდუმი, ანუ ეს ენერგია, რაც დღეს თქვენში არის, უნდა მოხმარდეს იმას, რომ ხელმოწერები მოაგროვოთ და მოიტანოთ ჩემთან, მოვაწერ ხელს რეფერენდუმს. ევროპული მომავალი გვინდა თუ რუსული, 84 კაცი ამას ვერ გადაწყვეტს. ჩვენ გადავწყვეტთ, ყველანი ერთად. 84 კაცი არავინ არ არის იმასთან შედარებით, დღეს ვინც ხართ აქ, ახალი საქართველო, მომავლის საქართველო", - განაცხადა პრეზიდენტმა.

ვინ მოაწერს ხელს საბოლოოდ „ქართულ ქარტიას" და ჩატარდება თუ არა რეფერენდუმი, ამას მომავალი პოლიტიკური დღეები გვიჩვენებს, მანამდე კი ჩვენ გავესაუბრეთ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსებს, ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებს, რომლებიც უკვე შეუერთდნენ სალომე ზურაბიშვილის „ქართულ ქარტიას".

ᲚᲐᲓᲝ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, �პᲐᲠᲢᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ":

- ეს არის არა ქართული, არამედ ომის ქარტია და აქ შეკრებილია ყველა ის პოლიტიკური რადიკალურ-მარგინალური ძალა, რომელიც აქამდე „ნაციონალური მოძრაობის" ქვეშ იყო. სალომე ზურაბიშვილის მიზანია, როგორმე გააკეთილშობილოს ეს ძალები, თუმცა ზურაბიშვილს არც ამის კომპეტენცია გააჩნია და არც რეიტინგი ხალხში. ჩვენ ვიხილეთ მისი კომიკური გამოსვლა, სადაც რეფერენდუმზე ისაუბრა. მან ისიც კი არ იცის, რომ რეფერენდუმი საქართველოში ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ის ტარდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და რადგან 20 %, სამწუხაროდ, ოკუპირებულია, ამიტომ ყველგან ვერ ჩატარდება. შესაბამისად, რეფერენდუმის თემა თავიდანვე აბსურდია. სალომე ზურაბიშვილი ქართულ პოლიტიკაში იქცა კომიკურ პერსონად და მისი ნებისმიერი წამოწყება არასერიოზულია.

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ, �პᲐᲠᲢᲘᲐ „ᲒᲘᲠᲩᲘ - ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ":

- პირველ რიგში, დავიწყებ იქიდან, რომ სალომე ზურაბიშვილის, როგორც პიროვნების მიმართ არ მაქვს არანაირი დადებითი განწყობა, მაგრამ ერთია პიროვნული განწყობა და მეორეა საქმისადმი განწყობა, რომელიც მან წამოიწყო. „ქართული ქარტიის" მიმართ პოზიტიურად ვარ განწყობილი და მომწონს. ზურაბიშვილმა ეს პროცესი დიდი ხნის წინ დაიწყო. მაგალითად, ჩვენს პარტიაში ეს ტექსტი სამჯერ იყო შემოტანილი და ტექსტის კითხვისას რაღაც მუხლი ამოვაღებინეთ, ერთი მუხლი დავაკორექტირებინეთ და ერთიც ჩვენი მოთხოვნით ჩაემატა. ზუსტად ვიცი, რომ ჩვენ მსგავსად სხვადასხვა პარტია ასევე გაეცნო ამ ტექსტს. ამით იმის თქმა მინდა, რომ იქ არ არის ერთი კონკრეტული პარტიის ხედვა, არამედ მომავალი კოალიციური მთავრობის თანამშრომლობის ნიმუშია. ამის მაგალითია ის, რომ ეროვნული ბანკის შემთხვევაში ჩემი პარტია მთლიანად ეროვნული ბანკის გაუქმებას ემხრობა, თუმცა ქარტიაში ამ ბანკის საბჭოს გაზრდაზეა საუბარი, ამის მიუხედავად, ჩვენ ხელი მაინც მოვაწერეთ. სასამართლოს ნაწილი ერთი-ერთში ემთხვევა ჩვენ ხედვას და ამ ფონზე დავთმეთ ეროვნული ბანკის ნაწილი, ვიღაცამ დათმო სასამართლოს ნაწილი და ასე მოხდა პარტიებს შორის კონსენსუსი. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვითანამშრომლოთ მომავალ კოალიციაში ერთმანეთთან. ჩემი აზრით, ამიტომ არის ეს დოკუმენტი სწორი იდეა და საქმე და მე, შესაბამისად, პიროვნულ მხარეს არ ვუყურებ, თუ ვინ დგას ამ იდეის ირგვლივ. ყველა ოპოზიციური პარტიის მიზანი ერთია, რომ „რუსული ოცნება" მოვიშოროთ.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲑᲐᲑᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ":

- ჩვენ ვუერთდებით ქართულ ქარტიას. დღეს ერთობის დროა, ღიაა კარები და ყველა პარტიას მოვუწოდებთ, რომ დავსხდეთ მოლაპარაკებების მაგიდასთან და შეთანხმებას მივაღწიოთ. ყველამ უნდა დავუჭიროთ მხარი ამ ინიციატივას, რადგან დღეს ჩვენ გვაქვს ერთი მიზანი, რომელსაც რუსული ხელისუფლების ჩამოშორება ჰქვია. ჩვენ უნდა წავართვათ მათ ხელისუფლების სადავეები და შემდეგ უკვე ქართველი ხალხი გადაწყვეტს, ვის რა მანდატი შეხვდება.

ᲒᲔᲜᲠᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲓᲠᲝᲐ":

- ძალიან დროული იყო პრეზიდენტის ეს ინიციატივა, რადგან არჩევნები, რომელიც ოქტომბერში გაიმართება, არ იქნება მხოლოდ არჩევნები და იქნება რეფერენდუმი. ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ისევ რუსეთისკენ უნდა ჩვენი ქვეყნის სვლა თუ ევროპისკენ შემოვტრიალდეთ და მოვახდინოთ სწრაფი რეფორმები, რათა დაჩქარდეს ევროინტეგრაცია. ჩვენ საზოგადოებას წინასწარვე უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ არ ჰქონდეთ გარკვეული შიშები ხელისუფლებაში რომელიმე ძალის დომინირებისა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა რეფორმები გატარდება და რა სფეროებს შეეხება, ასევე, რა ნაბიჯები გადადგმება კონკრეტულად კოალიციური მმართველობის მიერ, ვინ იქნებიან მინისტრები და როგორ იგრძნობს ამომრჩეველი ხელისუფლების ცვლილებას. შესაბამისად, ესაა უმნიშვნელოვანესი აქტი, რომელსაც პოლიტიკური პარტია „დროა" შეუერთდა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ორ ქვეყანას შორის არსებული პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები განიხილეს აჭარის მთავრობაში გამართულ შეხვედრაზე. რეგიონის პირველმა პირმა თორნიკე რიყვაძემ საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ პეტრ კუბერნატს უმასპინძლა. როგორც შეხვედრაზე ითქვა, საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის ორმხრივი ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება. მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზეც იმსჯელეს, აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ღონისძიების მხარდაჭერა, რათა ტურიზმი იქცეს ორმხრივი პარტნიორობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. შეხვედრას აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი თინათინ ზოიძე, ჩეხეთის საელჩოს განვითარების თანამშრომლობის კოორდინატორი თეონა რობაქიძე და ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი სვანიძე ესწრებოდნენ.

* * *

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღესასწაულთან დაკავშირებით, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, ქალაქ ბათუმის მერიის ა(ა)იპ „კულტურის ცენტრისა" და კონსტანცას უნივერსიტეტის ორგანიზებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ჩვენი სულიერების ბალავარი XIII" გაიმართა. კონფერენციის ძირითადი მიზანი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობასთან, წმინდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლასა და საქართველოში ქრისტიანული რელიგიის ისტორიის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების, ასევე, უახლესი კვლევების წარმოჩენა იყო. კონფერენცია შერეული ფორმატით ჩატარდა და მასში 50-ზე მეტი მკვლევარი მონაწილეობდა.

* * *

საქართველოს პირველი არხის ეთერში პროექტ „რანინას" გრანდიოზული ფინალი გაიმართა. „რანინას" მეშვიდე სეზონის გამარჯვებული ბათუმელი 10 წლის ანდრია ფუტკარაძე გახდა. ანდრიამ ფინალური სიმღერა „კიდევაც დაიზრდებიან" შეასრულა და მაყურებლის სიყვარული და ჟიურის მაღალი შეფასება კიდევ ერთხელ დაიმსახურა. სწორედ ანდრია ფუტკარაძე წარადგენს საქართველოს 2024 წლის საბავშვო ევროვიზიაზე, რომელიც ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში 16 ნოემბერს გაიმართება. პროექტის ფინალში ანდრია ფუტკარაძესთან ერთად, ბარბარე მორგოშია და სანდრო გურგენაძე მონაწილეობდნენ.

გამოწვევები, რომლებიც გადასაჭრელია...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საერთაშორისო პოლიტიკაში ივნის-ივლისი უმნიშვნელოვანესი მოვლენებით იქნება გამორჩეული - ყენევაში მშვიდობის მსოფლიო ფორუმი და ვაშინგტონის ნატოს სამიტი გაიმართება. კვლავ აქტუალურია კითხვები, მით უფრო - რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში: რა შანსი აქვს უკრაინას ალიანსში გაწევრიანების თვალსაზრისით? რატომ აღიქვამს რუსეთი საფრთხედ ევროატლანტიკურ სტრუქტურებს და რა პროცესები მიმდინარეობს სამხრეთ კავკასიაში? - ამ მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ ***გელა ირემაძეს.***

- ახლოვდება ნატოს ვაშინგტონის სამიტი. რას უნდა ელოდოს უკრაინა მისგან?

- ვფიქრობ, ამ სამიტზე უკრაინას ექნება უპირობო პოლიტიკური მხარდაჭერა. სავარაუდოდ, ამ მიმართებით ამერიკის შეერთებული შტატებისგან ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება, ანუ სამხედრო არსენალით მომარაგდება უკრაინა, ასევე, ნატო გაზრდის სამხედრო დახმარებას როგორც ფინანსური, ისე სამხედრო შეიარაღების თვალსაზრისით... აქვე აღვნიშნავ, რომ წელს ნატოს დაარსებიდან 75 წელი უსრულდება.

- მისცემს თუ არა ბიძგს დანარჩენ ევროპას აღმოსავლეთევროპული ქვეყნებისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პოზიცია - ალიანსს კონკრეტულად მოსთხოვონ უკრაინისთვის მაპ-ის მიცემა?

- ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კონსენსუსის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს. ცნობილია, რომ ზოგიერთი ევროპული ქვეყანა ეწინააღმდეგება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას (ძირითადად, ბებერი ევროპა), ისინი მხარს არ დაუჭერენ უკრაინისთვის მაპ-ის მინიჭებას, თუმცა არ გამოვრიცხავ, ნატოს კომუნიკეში გაჩნდეს ჩანაწერი, სადაც აისახება უკრაინის სამომავლო გაწევრიანების მექანიზმი, ანუ ისეთი ჩანაწერი, როგორიც იყო 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე - მაშინ ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ნატოს წევრი სახელმწიფოები.

- რა თქმა უნდა, ვიდრე უკრაინაში ომი არ დასრულდება, მანამდე ამ ქვეყანას ნატოში არავინ მიიღებს. რამდენადაა დაინტერესებული დასავლეთი ომის უმოკლეს ვადებში დასრულებით?

- კოლექტიური დასავლეთი შეეცდება, ომი უკრაინის საზღვრებს არ გასცდეს, ევროპა და აშშ მაქსიმალურად მოინდომებენ რუსეთის დასუსტებას ამ ომში, ამავდროულად, განახორციელებენ მასზე ზემოქმედებას. დასავლეთში გავრცელებულია აზრი, რომ ეს ომი უახლოეს მომავალში უნდა დასრულდეს უკრაინის სასარგებლოდ, მაგრამ დღეს ძალთა თანაფარდობა ამის ნათელ დასტურს არ იძლევა. ვფიქრობ, გაისად უკრაინის კონფლიქტი დღის წესრიგიდან მოიხსნება იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარე წელი საარჩევნოა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. უკვე მიმდინარეობს საარჩევნო ციკლი და სამომავლო მთავრობის ვალდებულება იქნება ამ ომის დასრულება. მოგეხსენებათ, რომ ივნისში, უკრაინის ომთან დაკავშირებით ყენევაში გაიმართება მშვიდობის ფორუმი, რომელშიც მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი აქტორები მიიღებენ მონაწილეობას.

- ცნობილია, რომ ნატოში გაერთიანებას ყველა ქვეყნის თანხმობა სჭირდება. რომელი სახელმწიფოები ეწინააღმდეგებიან ალიანსის გაფართოებას?

- ნატო არის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია. მისი წევრი რომ გახდე, საჭიროა, არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით აკმაყოფილებდე მის მოთხოვნებს, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი იყოს ნორმალიზებული, ასევე, ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია ეფუძნებოდეს დემოკრატიულ სტანდარტებს. ამ სტანდარტებს და მოცემულობას უკრაინა ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს თუნდაც ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, თანაც რუსეთთან ომშია ჩართული. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს (რომელი სახელმწიფოები ეწინააღმდეგებიან ნატოს გაფართოებას), აქ იგულისხმება საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი... თუმცა უკრაინას აქტიურად უჭერენ მხარს პოლონეთი, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები... მოკლედ, ამ სახელმწიფოების ლიდერები ვერ მივლენ კონსენსუსამდე.

- რა შეიძლება უკრაინამ გააკეთოს, როგორ უნდა დაარწმუნოს ზემოაღნიშნული ქვეყნები, რომ ნატოში მისი გაწევრიანება აუცილებელია?

- უკრაინას ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ექნება გადასაწყვეტი, ვგულისხმობ თუნდაც ნატოს მეხუთე მუხლს, რომლის მიხედვითაც, ერთი სახელმწიფო ყველასთვისაა და ყველა - ერთისთვის! აქ არიან ქვეყნები, რომლებიც ბირთვული სახელმწიფოების სტატუსს (აშშ, საფრანგეთი) ფლობენ, თავის მხრივ, კონფლიქტის მეორე მხარესაა რუსეთი, რომელსაც ასევე აქვს ბირთვული იარაღი. ისმის კითხვა: რა უნდა გააკეთოს უკრაინამ ამ მხრივ? უნდა მოაგვაროს თავისი ტერიტორიული მთლიანობის თემა, ასევე, შიდასახელმწიფოებრივი კუთხით, დემოკრატიული სისტემის მაჩვენებლის გაუმჯობესება და ეკონომიკური საკითხების მოგვარება მოუწევს.

- ამბობენ, რომ ნატომ თავისი არსებობის განმავლობაში სამი მნიშვნელოვანი რამ გააკეთა: ევროპა გააერთიანა, კრემლის ამბიციები შეაჩერა და ალიანსი აღმოსავლეთით გააფართოვა. ნატოსთვის კიდევ რა მიზანი შეიძლება იყოს მთავარი?

- სამწუხაროდ, 2008 წელს ნატო არ იყო ერთიანი (ვგულისხმობ ბუქარესტის ნატოს სამიტს), რასაც შემდეგ მოჰყვა რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ. ნატოს კომუნიკეში არ იყო ასახული რუსეთის ფაქტორი, მაგრამ 2014 წლის „მაიდნის“ პროცესების შემდეგ ნატოს დოკუმენტში მკაფიოდ ჩაიწერა, რომ ალიანსისთვის საფრთხის შემცველია რუსეთი, ხოლო 2022 წლის 24 თებერვალს ცხადი გახდა, რომ ეს სახელმწიფო მთელი მსოფლიოს პრობლემაა. აქედან გამომდინარე, დასავლეთმა მაქსიმალური ზემოქმედება უნდა მოახდინოს რუსეთზე მისი ამბიციების მოსათოკად.

- ფინეთი და შვედეთი ნატოს წევრები გახდნენ. კრემლის იდეოლოგები აცხადებენ, რომ ალიანსის მიზანია რუსეთის რკალში მოქცევა, რათა შემდეგ ის დაშალოს.

- მოგეხსენებათ, შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანების საკითხზე აზრთა სხვაობა იყო, მაგრამ ალიანსმა კონსენსუსს მიაღწია. ვგულისხმობ თურქეთს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ალიანსში მათ გაწევრიანებას. თურქეთს ორმაგი სტანდარტები აქვს, ზოგადად, რუსეთთან მიმართებით. დღეს თურქეთი არის „ბრალდებული“ ქვეყანა, ანუ ჩრდილოვან ეკონომიკას ქმნის, რუსული კაპიტალის გადინება ხდება ამ კონკრეტულ სახელმწიფოში და ტვირთბრუნვა დაფარული არ არის. სხვათა შორის, ამ ომმა ისიც აჩვენა, რომ რუსეთს თვითკმარი ეკონომიკა ჰქონდა - მიუხედავად არსებული ეკონომიკური სანქციებისა, იგი მაინც ახერხებს საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის ბრძოლას. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რუსეთი უახლოეს მომავალში შეიძლება დაიშალოს. ეს არ შედის დასავლეთის ინტერესებში მრავალი მიზეზის გამო, რის შესახებაც არაერთხელ გვისაუბრია თქვენი გაზეთის მეშვეობით.

- ბევრი ანალიტიკოსი აცხადებს, რომ დასავლეთმა რუსეთს, გარკვეულწილად, შერბილებული სანქციები დაუწესა...

- საერთო აზრი ამ საკითხზე თვით ალიანსში შემავალ ქვეყნებსაც არ გააჩნიათ. ხისტი პოლიტიკის განხორციელება პირველ ეტაპზე იყო შესამჩნევი, მაგრამ ვნახეთ, რუსეთის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ცალკეული ევროპული სახელმწიფოების წარმომადგენლები როგორ მიესალმნენ პუტინს, რაც განპირობებულია ეკონომიკური საკითხებით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსეთი აშკარად აქტიურდება აზიის რეგიონში, უპირველესად, ვგულისხმობ ჩინეთს.

- სხვათა შორის, ექსპერტთა ნაწილი ამბობს, რომ რუსეთი, პრაქტიკულად, ჩინეთის ვასალი გახდა.

- ჩინური კაპიტალი და, ზოგადად, საქონელი რუსეთის ბაზარს სჭირდება, რისი დასტურია ამ ქვეყნების ლიდერების ორმხრივი ვიზიტები მოსკოვსა და პეკინში. როგორც ცნობილია, პუტინი პერსონა ნონ გრატად არის შერაცხული მსოფლიოში და ერთ-ერთი გასასვლელი არეალი აფრიკის კონტინენტის ცალკეულ ქვეყანასა და ჩინეთში აქვს, რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს. ვფიქრობ, რუსეთ-ჩინეთის თანამშრომლობა დადებითად არ აისახება თანამედროვე მსოფლიოზე. ისიც ცნობილია, რომ მოსკოვი გარკვეულ სამხედრო დახმარებას იღებს ჩინეთისგან, თუმცა არა ისეთ შეიარაღებას, რომელსაც ომის ბედის გადაწყვეტა შეუძლია, რადგან ჩინეთისთვის უფრო მნიშვნელოვანი აშშ-სთან ურთიერთობის დალაგებაა, ვიდრე ურთიერთდაპირისპირება.

- რუსეთის ხელისუფლების წევრები აცხადებენ, რომ მათი მიზანია ნატოს მსგავსი სამხედრო ბლოკის შექმნა. რამდენად რეალურია კრემლის ეს განზრახვა?

- რუსეთმა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნა სამხედრო ორგანიზაცია, ეგრეთ წოდებული ოდეკაბე, რომელშიც გაწევრიანებული იყვნენ თავად რუსეთი, სომხეთი, ბელარუსი და შუააზიური სახელმწიფოები, რამაც სასურველი შედეგი საგარეო პოლიტიკაში არ და ვერ აჩვენა. რუსეთი არ არის მზად, სერიოზული სამხედრო ბლოკი ანუ ნატოს საპირწონე ორგანიზაცია შექმნას. თავის დროზე, გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა შეიქმნა ნატო, საპასუხოდ საბჭოთა კავშირმა ჩამოაყალიბა „ვარშავის პაქტი“, რომელიც აერთიანებდა უშუალოდ საბჭოთა კავშირს და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს, მაგრამ ამ სამხედრო ბლოკმა დაასრულა თავისი საქმიანობა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე. ამ ორგანიზაციამ ვერ დასძლია არსებული გამოწვევები, ნებისმიერი ორგანიზაცია უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების კეთილ ნებას, ხოლო რომელი ორგანიზაციის სათავეშიც რუსეთი მოექცევა, მასში შემავალი სახელმწიფოების მოქალაქეების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ამიტომ მსგავსი ორგანიზაციები ბუშტივით სკდება. ეს შეიძლება ითქვას იგივე დსთ-ზე, რომელმაც არსებობის განმავლობაში ვერ უზრუნველყო რაიმე პოზიტივის შექმნა.

- ახლა ჩვენს რეგიონში მიმდინარე მოვლენებს შევეხოთ: ბევრი ანალიტიკოსი აცხადებს, რომ სომხეთი შორდება რუსულ ორბიტას...

- რუსეთის პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ ყარაბაღის კონფლიქტში ორივე მხარის შერიგებას ცდილობდა, მაგრამ პირიქით - კრემლი ცდილობდა ამ კონფლიქტის მაქსიმალურად გაწელვას სარგებლის მისაღებად. ამ მხრივ აღსანიშნავია თურქეთის ფაქტორი, რომელმაც ძალიან დიდი როლი შეასრულა ყარაბაღის მეორე ომში. უნდა ითქვას, რომ რუსეთმა გადააგდო სომხეთი, რაც ფაშინიანმა კარგად გააანალიზა.

- ერევანში მიმდინარე ანტისახელისუფლებო აქციების უკან ანალიტიკოსები კრემლის ხელს ხედავენ.

- დიახ, ეს აშკარად იგრძნობა. უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვში 9 მაისის სამხედრო აღლუმზე სომხური დელეგაცია არ იმყოფებოდა, რაც იმის ნიშანია, რომ სომხეთი შორდება რუსულ ორბიტას. სომხეთს აუცილებლად მოუწევს საერთო ენის გამონახვა თურქეთსა და ასევე, აზერბაიჯანთან, ანუ საზღვრების დემარკაციასთან დაკავშირებით გააფორმოს შეთანხმება, რომელმაც სამომავლოდ მშვიდობა უნდა უზრუნველყოს ამ ქვეყანაში. თუ მსგავსი მიმართულებით განვითარდა მოვლენები, დიდი ალბათობით, შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში სომხეთს ნატოში გაწევრიანების დიდი შანსი ექნება, რადგან ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მოგვარებული აქვს. ამ ქვეყანამ შეიძლება საქართველოს დაასწროს ნატოში ინტეგრაცია, რაც ცოტა უცნაურია, მაგრამ ეს არის რეალობა, რაც ჩვენთვის კარგი იქნება.

- თუ ევროკავშირმა მოახერხა დამოუკიდებელი არმიის შექმნა, რა ცვლილებები მოჰყვება ამას მსოფლიოში?

- ეს აზრი დიდი ხანია მწიფდება ევროპაში, ჯერ კიდევ საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა დამოუკიდებელი არმიის შექმნის საჭიროების შესახებ, თუმცა მიმაჩნია, რომ ევროკავშირის ცალკეული სახელმწიფოები ვერ უზრუნველყოფენ ასეთი არმიის ჩამოყალიბებას.

> ***„ ამ ომმა ისიც აჩვენა, რომ რუსეთს თვითკმარი ეკონომიკა ჰქონდა - მიუხედავად არსებული ეკონომიკური სანქციებისა, იგი მაინც ახერხებს საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის ბრძოლას. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რუსეთი უახლოეს მომავალში შეიძლება დაიშალოს. ეს არ შედის დასავლეთის ინტერესებში მრავალი მიზეზის გამო, რის შესახებაც არაერთხელ გვისაუბრია თქვენი გაზეთის მეშვეობით***

- როგორც ცნობილია, რუსეთი, ნატოს მსგავსად, ევროკავშირსაც საფრთხედ მიიჩნევს. რატომ?

- რუსეთისთვის ცივილიზებული მსოფლიოა საფრთხე, ანუ - განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოები. ამ მხრივ საზოგადოებაში რიტორიკული კითხვები იბადება ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა სექსუალური ორიენტაცია და სხვა, რომლითაც რუსული ხელისუფლება კვებავს საკუთარ მოსახლეობას - თითქოს დასავლეთი გარყვნილია, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. რაც შეეხება ევროკავშირს, საქმე ისაა, რომ მისი გაფართოება რუსეთის ინტერესებს ვნებს, რადგან ის მას, ამ შემთხვევაში, აღიქვამს გარკვეულ პოლიტიკურ სივრცედ, რომელიც შეუთავსებელია მის გეოპოლიტიკურ გეგმებთან.

- დაბოლოს, ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ნატოს კარი აუცილებლად გაიღება და ამ მომენტისთვის მზად უნდა ვიყოთ. ვიქნებით კი?

- საქართველოს საკითხი მალე ვერ გადაწყდება, რადგან ჩვენს ქვეყანას აქვს რიგი პრობლემები, რომლებიც უნდა მოგვარდეს. სხვათა შორის, ჩვენს კონსტიტუციაში არის ჩანაწერი, რომ საქართველოს საგარეო კურსი განსაზღვრულია - ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში, თუმცა ეს არ კმარა. აუცილებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხორციელება, როგორებიცაა: ქვეყნის შიგნით დემოკრატიული სტანდარტების განვითარება, ერთმმართველური სისტემის დასრულება და კოალიციური მთავრობის ფორმირება. დღეს ჩვენ ვსარგებლობთ ნატოს ღია კარის პრინციპით, ალიანსმა მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ჯარის რეფორმირებაში... მოკლედ, თუ ზედმიწევნით შევასრულებთ ნატოს მოთხოვნებს და ქვეყანა გაგრძელებს დემოკრატიული სტანდარტების დაცვას, მაშინ ალიანსის კარი საქართველოსთვის აუცილებლად გაიღება, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს აქვს უმთავრესი გამოწვევა - ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. დიახ, ესაა მნიშვნელოვანი, აქტუალური გამოწვევა, რომელიც ჩვენ წინაშე დგას და გადასაჭრელია.

აჭარა – რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის მოლოდინში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ აჭარაში უკვე წლებია სპორტულ მოედნებსა და სავარჯიშო კომპლექსებს აქტიურად აშენებს. კომპანიის მთავარი მიზანი ჩვენი რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მშენებლობა და პროექტების მართვაა.

დაგეგმილი, მიმდინარე და დასრულებული სპორტული პროექტების შესახებ კომპანიის დირექტორი ***ბაჟარ ჩიტაია*** *გვესაუბრება*

- თქვენი კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტებიდან რომელს გამოარჩევდით?

- შემიძლია გამოვყო მთავარი სპორტული ობიექტი - ბათუმის სტადიონი „აჭარაბეთ არენა“, რომელიც 20 000 მაყურებელზეა გათვლილი. იგი ექსპლუატაციაში 2020 წელს შევიდა, 2021 წელს კი უკვე თამაშები გაიმართა. სტადიონმა უმასპინძლა როგორც საფეხბურთო, ასევე, სარაგბო მატჩებს. 2022 წლის ზაფხულში სარაგბო შეხვედრა გავმართეთ, სადაც საქართველოს რაგბის ნაკრებმა, ისტორიაში პირველად, იტალიის ეროვნული გუნდი დაამარცხა. სტადიონზე, ასევე, დაგეგმილია უამრავი სხვა სპორტული ღონისძიება, კონცერტები... შეგვიძლია ვთქვათ, რომ 17-წლიანი მოლოდინის შემდეგ, აჭარას აქვს უეფას მე-4 კატეგორიის სტადიონი. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი, რომელიც აქ გაიმართა გასულ წელს, 21-წლამდელ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი იყო, რომლის ფინალურ ეტაპსაც „აჭარაბეთ არენამ“ უმასპინძლა. ასევე, შემიძლია გამოვყო პროექტი, რომელიც განახორციელა აჭარის პროექტების მართვის კომპანიამ აჭარის მთავრობისა და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერით. ეს არის ბათუმის სპორტული კომპლექსი, რომლის მშენებლობაც დასრულებულია და უკვე ფუნქციონირებს. აქ არის დარბაზები სხვადასხვა სპორტული სახეობისთვის: კალათბურთისთვის, ჭიდაობისთვის, ძიუდოსთვის, კრივისთვის და ა.შ. ეს მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ბათუმისთვის.

- კიდევ რომელი პროექტი შევიდა ექსპლუატაციაში?

- დასრულებულ პროექტებშია, ასევე, ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო, რომელიც ჩვენ ავაშენეთ და ექსპლუატაციაში შევიდა 2020 წელს, სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყანაში კოვიდპანდემია იყო. ესეც მნიშვნელოვანი შენაძენია სამედიცინო სფეროსთვის. ჩაქვში დასრულდა ძალოსანთა სავარჯიშო ბაზის მშენებლობა. პროექტის ღირებულებამ, ჯამში, შეადგინა 4 500 000 ლარი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსდა. შენობა სამსართულიანია. ძირითადი დარბაზი 300 მაყურებელზეა გათვლილი, მეორე სართული დაეთმო კვების ბლოკს, მესამე სართულზე კი განთავსებულია სასტუმრო ვიზიტიორებისა და სპორტსმენებისთვის. ბაზა რამდენიმე დღეში გაიხსნება და ძალოსნები მიიღებენ თანამედროვე სტანდარტების კომპლექსს, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც ვარჯიში, ასევე, სპორტული შეხვედრების გამართვა. წელს ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ღორჯომში დასრულდა სპორტული დარბაზის მშენებლობა. იგი რამდენიმე დღეში გადაეცემა საექსპლუატაციოდ. ბიუჯეტიდან ამ პროექტისთვის 850 ათას ლარზე მეტი გამოიყო. მისი დარბაზი გათვალისწინებულია როგორც ჭიდაობისთვის, ასევე, მაგიდის ჩოგბურთისთვის. შენობაში მოწყობილია თანამედროვე განათებაგახმოვანების, გათბობა-გაგრილების სისტემები. მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც გასულ წელს დაასრულა აჭარის პროექტების მართვის კომპანიამ, დაბა შუახევში არსებული საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციაა. მთლიანად შეიცვალა ბუნებრივი საფარი, დაიგო ახალი, თანამედროვე სტანდარტების, ფიფას მიერ სერტიფიცირებული ხელოვნური ხალიჩა. შეიცვალა არსებული ღობეები, მოეწყო თანამედროვე სტანდარტების ტრიბუნები, განათების სისტემა და დღეს დაბა შუახევს აქვს თანამედროვე სტანდარტების საფეხბურთო სტადიონი.

- მიმდინარე პროექტებზე რას გვეტყვით?

- რაც შეეხება მიმდინარე პროექტებს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ბათუმის ყინულისა და საცურაო აუზის დახურული სპორტული ქსი შენდება ოლიმპიური ნორმების დაცვით. ბათუმს ექნება 50-მეტრიანი აუზი, ასევე, 25-მეტრიანი სპორტულ-გამაჯანსაღებელი აუზი და ყინულის არენა, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც ფიგურული სრიალის, ასევე ჰოკეის და სხვადასხვა სპორტული ღონისძიების გამართვა. პროექტის ღირებულება ჯამში, დაახლოებით, 53 მილიონი ლარია, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყო. ასევე, მნიშვნელოვანი პროექტი მიმდინარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში, ესაა სარაგბო მოედნის მშენებლობა. აქ უკვე მოწყობილია ტრიბუნები, აშენებულია შენობა, დაიგება თანამედროვე სტანდარტების, ფიფას მიერ სერტიფიცირებული, ხელოვნური ხალიჩა, მოეწყობა თანამედროვე განათების, გათბობა-გაგრილების სისტემები და ჩაქვში მორაგბეებს ექნებათ თანამედროვე სტანდარტების სარაგბო ბაზა. რაკი რაგბის შევეხეთ, აქვე აღვნიშნავ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხუცუბანში უნდა აშენდეს სარაგბო ბაზა, რომლის პროექტირებაც დასრულებულია და მალე მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდება. დასრულებულია, ასევე, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოში სარაგბო ბაზის პროექტირება და აქაც მალე ტენდერი გამოცხადდება.

- ახლო მომავალში კიდევ რომელი პროექტების განხორციელებას გეგმავთ?

- შუახევის მუნიციპალიტეტში, მთა ჩირუხზე არსებული ზიპლაინის მშენებლობა წელს დასრულდება. აღსანიშნავია, რომ ეს იქნება ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ზიპლაინი, რომლის ბაგირის სიგრძე 1 750 მეტრია. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია. მშენებლობისთვის, დაახლოებით, 9 მილიონი ლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყო. ჩვენ გვექნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილი მაღალმთიან აჭარაში. დარწმუნებული ვარ, იგი ექსტრემალური ტურის მოყვარულებს მიიზიდავს. ქედის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია არსებული სპორტკომპლექსისა და ქედის „ბეთლემის“ სტადიონის რეაბილიტაცია, რომლის პროექტირება უკვე დასრულებულია. დაახლოებით, 20 მილიონ ლარზეა საუბარი, რომელსაც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო დააფინანსებს. მზადდება დოკუმენტაცია და სულ მალე მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდება. ასევე, იგეგმება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სპორტული კომპლექსისა და „მაჭახელას“ სტადიონის რეაბილიტაცია. არსებული სტადიონის ბუნებრივი, დაზიანებული საფარი შეიცვლება ხელოვნურსაფარიანი ხალიჩით, მოეწყობა ახალი განათების სისტემა, აშენდება ახალი ტრიბუნები და სასტუმრო ნომრები. ქალაქ ქობულეთში დასრულებულია სპორტული კომპლექსის მშენებლობის პროექტირებაც. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს აჭარაში ფეხბურთის კიდევ უფრო განვითარებას, რაგბის სტადიონების მშენებლობა - სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას, ყველაფერი ერთად კი – რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტის განვითარებას. აჭარა გახდება ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება საერთაშორისო დონის სპორტული ღონისძიებების გამართვა.

- როგორც ვიცით, ბათუმშიც შენდება მნიშვნელოვანი ობიექტები...

- რაც შეეხება ბათუმში განსახორციელებელ პროექტებს, მათ შორის მნიშვნელოვანია ჭადრაკის სასახლე, რომლის მშენებლობაც ლეონიძის ქუჩაზე, სპორტული კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება. პროექტირება უკვე დასრულებულია და სულ მალე მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდება. ქალაქს ექნება თანამედროვე სტანდარტების ჭადრაკის სასახლე, სადაც საერთაშორისო შეხვედრები თუ ჩემპიონატები გაიმართება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტია კორტების რეაბილიტაცია. თამარის დასახლებაში მოეწყობა ჰარდის ტიპის ხუთი გარე კორტი. მოხდება ძველი კორტების დემონტაჟი, რადგან საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. ჯამში, 6 საჩოგბურთო კორტი მოეწყობა, თავისი განათების სისტემით. არსებული სასტუმრო, რომელიც მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია, დაინგრევა და ახლის მშენებლობა დაიწყება. მოეწყობა ადმინისტრაციული სივრცეები, გათბობა-გაგრილების სისტემები და ახალი განათების სისტემა. ასე რომ, ბათუმს ექნება თანამედროვე სტნდარტების საჩოგბურთო ბაზა, სადაც გაიმართება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სპორტული შეხვედრები და ჩემპიონატები.

- სამედიცინო კუთხით რა ხდება?

- მიმდინარეობს გადაუდებელი სიტუაციების მართვისა და კოორდინაციის სამსახურის ახალი შენობის პროექტირება, ასევე, დაწყებულია ბათუმის N1 მრავალფუნქციური პოლიკლინიკის ახალი შენობის და რესპუბლიკური საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების შენობის პროექტირება. სავარაუდოდ, წლის ბოლომდე მშენებლობაზე ტენდერიც გამოცხადდება.

- რა გამოწვევები ახლავს ამ სფეროს?

- ცხადია, მშენებლობებს გამოწვევები მუდამ ახლავს. მაღალმთიან აჭარაში, მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, მშენებლობის პროცესები ფერხდებოდა. იყო უამინდობის გამო ვადების გადაწევის შემთხვევებიც, თუმცა ამით მშენებლობას რაიმე სახის პრობლემა არ შექმნია. ყველა პრობლემა დაძლეულია, მშენებლობები ვადების დაცვით მიმდინარეობს.

> *„ეს იქნება ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ზიპლაინი, რომლის ბაგირის სიგრძე 1 750 მეტრია. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია. მშენებლობისთვის დაახლოებით 9 მილიონი ლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყო. ჩვენ გვექნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილი მაღალმთიან აჭარაში. დარწმუნებული ვარ, იგი ექსტრემალური ტურის მოყვარულებს მიიზიდავს*

„ჩემი მთავარი მოთხოვნა გუნდური მუშაობაა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის ადრინდელი კულტურის განყოფილება, შემდგომ - კულტურის ცენტრი არსებობის 70 წელზე მეტს ითვლის. დღეს ამ სამსახურს სათავეში ***მაია დავითაძე*** *უდგას.*

- სპეციალობით პედაგოგმა, შრომითი ნათლობა ადგილობრივ გაზეთში მიიღეთ. ახლანდელ სამსახურამდე რა გზა გამოიარეთ?

- გაზეთ „ცისკრის“ რედაქციაში მუშაობა ჩემი ცხოვრების გზაზე ერთ-ერთი გამორჩეული ეტაპი იყო. იქ ჯერ კიდევ გამოუცდელი სტუდენტი მივედი. ვთვლი, რომ გაზეთში ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. შემდეგ მუშაობა კულტურის ცენტრში გავაგრძელე სხვადასხვა პოზიციაზე. ვიყავი მთავარი სპეციალისტი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე... ხელოვანებთან მუშაობა საპასუხისმგებლო და ძალიან სათუთი საქმეა. განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო იმ ხალხთან, ვინც ქმნის მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ისტორიას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

- თქვენი ბაბუა ალიოსმან დავითაძე „განდაგანის“ უბადლო შემსრულებელი იყო. მის გზას ხომ არ აგრძელებთ?

- სამწუხაროდ, ღირსეული ხელოვანის შვილიშვილს არ გამომყვა სიმღერისა და ცეკვის ნიჭი, მაგრამ როგორც კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, ყველაფერს ვაკეთებ, რომ არ დაიკარგოს ბაბუის „განდაგანის“ ილეთები და სიმღერები. კულტურის ცენტრის ყველა ანსამბლის რეპერტუარში საპატიო ადგილი უკავია ხელოვნების იმ ნიმუშებს, რომლებიც ალიოსმან დავითაძისა და მისი თაობის ადამიანების სახელს უკავშირდება. ალბათ, სიმბოლურია, რომ 1959-68 წლებში ბაბუა იყო სარაიონო კულტურის სახლის დირექტორი, 56 წლის შემდეგ კი მის შვილიშვილს მერგო პატივი, ამ გზით გავყოლოდი ხელოვნებას. მამა ზაურ დავითაძე შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ იმ ფოლკლორულ ანსამბლ „შუახევის“ სოლისტია დღემდე, რომლის შექმნაც ბაბუის სახელს უკავშირდება. ამაყი ვარ, რომ ამ ადამიანების გვარს ვატარებ.

- როგორც ხელმძღვანელი, რას აკეთებთ ფოლკლორის ნამუშევრების მოძიება-წარმოჩენისა და პოპულარიზაციისთვის?

- კულტურის ცენტრის ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით სქმიანობაში ხელშეწყობა, ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარება, ფოლკლორის ნიმუშების მოძიება-აღრიცხვა, ხალხური რეწვის მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ხალხური მთქმელების, ნიჭიერი, ინდივიდუალური შემსრულებლების და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობისთვის ხელშეწყობა, სამუსიკო, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ნიმუშების შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის ობიექტური პირობების შექმნა, ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია სხვადასხვა მიმართულებით. სასიამოვნოა, რომ მარტო მუშაობა არ მიხდება. ჩვენს წინადადებებს, სურვილებს ითვალისწინებენ ქვეყნისა და აჭარის კულტურის სამინისტროების, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, ფოლკლორის ეროვნული ცენტრის სპეციალისტები. შუახევი მდიდარია ფოლკლორით, ამოუწურავი რესურსი გვაქვს, რასაც ყოველწლიურად მოძიება და განახლება სჭირდება. აქედან გამომდინარე, წელსაც დაგეგმილია მრავალი საინტერესო აქტივობა და ფოლკლორული ექსპედიცია მუნიციპალიტეტის თემებში. ცენტრში აღდგენილია ფოლკლორის განყოფილება. ვმუშაობთ ფოლკლორული ანსამბლებისთვის აუდიოდისკების ჩაწერაზე. აქტიურად ვთანამშრომლობთ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან და ვმონაწილეობთ ყველა პროექტში, რომლებსაც ახორციელებს კულტურის სამინისტრო ფოლკლორის მიმართულებით.

- საქმიანობის ოთხი წლის განმავლობაში რა სიახლეები დანერგეთ?

- ამ პერიოდში განხორციელებული ყველა საინტერესო სიახლისა თუ ცვლილების თანამონაწილე ვარ. ჩემი პირველი მოთხოვნა გუნდური მუშაობაა, რომელიც ძალიან „ჩამოშლილი“ იყო. ვმუშაობ სამხატვრო საბჭოს შექმნაზე, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება განყოფილებების მიხედვით შესაბამისი წლიური სამუშაო გეგმების შემუშავება, ახალი პროექტების განხილვა, ანსამბლების რეპერტუარის შერჩევა-მომზადება, ღონისძიებების გეგმა-სცენარის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ცენტრის ეფექტურ მუშაობას. ვთანამშრომლობთ როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო საფესტივალო ორგანიზაციებთან, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე გასტროლი გვაქვს დაგეგმილი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო იდეა გახლავთ მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ამსახველი მუზეუმის - „ერთ სივრცეში მოქცეული კულტურული ცხოვრების ისტორია“ შექმნა, სადაც წარმოდგენილი იქნება ჩვენი დიდი ხელოვანების ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები. არასოდეს ვჩერდებით, ზოგიერთ სიახლეს სიურპრიზად დავტოვებ.

> *ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო იდეა გახლავთ მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ამსახველი მუზეუმის - „ერთ სივრცეში მოქცეული კულტურული ცხოვრების ისტორია“ შექმნა, სადაც წარმოდგენილი იქნება ჩვენი დიდი ხელოვანების ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები. არასოდეს ვჩერდებით, ზოგიერთ სიახლეს სიურპრიზად დავტოვებ*

- ცენტრის ადმინისტრაცია ოთხი წელია, კულტურის სახლის რემონტის დასრულების მოლოდინშია. ეს სამუშაოები კიდევ დიდხანს გაგრძელდება თუ...

- კულტურის ცენტრის ანსამბლები 4 წელია, კულტურის სახლის, საკუთარი ჭერის გარეშე საქმიანობს, თუმცა არც ამას შეუშლია ხელი მუშაობაში. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს ანსამბლების რეპეტიციები, აქტიურად ვართ ჩართულნი სხვადასხვა ღონისძიებაში. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრება მოწოდების სიმაღლეზე იყოს. მალე დასრულდება ცენტრის სარემონტო სამუშაოები და საინტერესო სიახლეებსაც ვპირდებით ჩვენს საყვარელ და მონატრებულ მაყურებელს.

- მეზობელ მუნიციპალიტეტებსა და ქვეყნის მეტწილ ქალაქებში კულტურისა და ხელოვნების ამაგდარებს, სახელოვან ანსამბლებს ვარსკვლავებს უხსნიან, შუახეველები კი ლოდინის რეჟიმში არიან...

- სრული სიმართლეა - ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაკეთებულა. კულტურისა და ხელოვნების ამაგდარების, დამსახურებული ადამიანების პატივისცემა მარტო სიტყვებში არ უნდა გამოიხატოს, 2017 წლის სექტემბერში ანსამბლ „შუახევს“ დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. კულტურის ცენტრის მაშინდელ ხელმძღვანელს მზად ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ანსამბლის საიუბილეო საღამო გრანდიოზულად რომ აღნიშნულიყო, და ყველაზე მთავარი - „შუახევისთვის“ ვარსკვლავიც გაეხსნათ. სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, ეს არ განხორციელდა და თემაც ძალიან მალე მიივიწყეს. იმედს ვიტოვებ, რომ ამ მიმართულებით გადავდგამთ სასიკეთო ნაბიჯებს და კულტურის ცენტრის განახლებულ შენობაში დაბინავების შემდეგ, საინტერესო და მნიშვნელოვან თარიღებს ერთად აღვნიშნავთ.

შორენა ლომაძე: ერთობით აუცილებლად ავაშენებთ სკაუტურ ქალაქს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

გაიმართა საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის მიერ გამოცემული წიგნის „აღმოაჩინე შენი გზა სკაუტინგში“ მეორე გამოცემის და სკაუტური ვიდეორგოლის პრეზენტაცია

„აღმოაჩინე შენი გზა სკაუტინგში“ პირველად 2021 წელს გამოვიდა. 3 წლის განმავლობაში დაგროვილმა ცოდნამ და გამოცდილებამ გაზიარების აუცილებლობაც მოიტანა... და წიგნი მეორედ გამოიცა აჭარის სკაუტური ორგანიზაციის პრეზიდენტ შორენა ლომაძის ხელმძღვანელობით. მასთან ერთად წიგნზე მუშაობდნენ სკაუტ-ლიდერები: ანა ბოლქვაძე, ლილე კონცელიძე, გიორგი მეგრელიძე, სოფიო ბურნაძე, მაიკო ბერიძე და ნათია გეგუჩაძე. მისი რედაქტორი და გამომცემელია გამომცემლობა „აზრის“ ხელმძღვანელი მამუკა ხანთაძე.

მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ აჭარის სკაუტური მოძრაობის დამფუძნებლები, საპატიო სკაუტები, საზოგადო მოღვაწეები, საპატიო ბათუმელები, სკაუტ-ლიდერები, სკაუტების მშობლები.

პრეზენტაციის მეორე ნაწილი ვიდეორგოლის პრეზენტაციას დაეთმო, რომლის მთავარი მიზანი სკაუტური ქალაქის ერთად აშენებაა.

ალსანიშნავია, რომ აჭარის სკაუტურ ორგანიზაციას ჩაქვის ტერიტორიაზე აქვს მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება სკაუტური ქალაქის აშენება. ორგანიზაციის პრეზიდენტ შორენა ლომაძის ინფორმაციით, პატარა, სკაუტურ ქალაქში იქნება კოტეჯები, საკარვე ზონები, სპორტული და გასართობი ადგილები, მოეწყობა საერთაშორისო ბანაკები, რეგიონალური ღონისძიებები, კონფერენციები, გაცვლითი პროგრამები და მრავალი სხვა. გარემო სრულად ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. გარდა სკაუტებისა, სივრცე მოემსახურება „ჩვენებურებს“, ემიგრაციაში მყოფ ქართველებს და მრავალშვილიან ოჯახებს.

- აჭარაში სკაუტური ორგანიზაცია 1996 წლიდან მოქმედებს, თუმცა საქართველოში პირველი სკაუტები, საარქივო მასალების მიხედვით, ჯერ კიდევ 1918 წელს გამოჩნდნენ. დიდი ისტორიის მქონე ორგანიზაცია აჭარაში 10 000 სკაუტს ითვლის და წლებია, ქმნის ჯანსაღი ცხოვრების პირობას რეგიონში. სკაუტები ყოველთვის ქვეყნის სამსახურში არიან. უწყვეტი განვითარებით მუდმივად სწავლობენ ახალს და იზრდებიან ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად.

ორგანიზაციამ 500-მდე პროგრამა განახორციელა სხვადასხვა ქვეყანაში, მსოფლიო და საერთაშორისო ჯემბორები, ჯოტი, მუტი, საზოგადოებრივი ღონისძიებები, ტრენინგები, ბანაკები, კონფერენციები და მრავალი სხვა. საერთაშორისო პროექტებში ჩართულობით, აჭარის სკაუტებმა მსოფლიოს 70 ქვეყანასა და ქალაქში მიიღეს ცოდნა და გამოცდილება, ააფრიალეს ქართული დროშა, რამაც მათ წარმატება მოუტანა.

ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია სკაუტური ქალაქის აშენება, რომელიც ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს. თითოეულ მოქალაქეს შეუძლია შეიტანოს ამაში წვლილი და მათი დახმარებით, ერთობით, აუცილებლად ავაშენებთ სკაუტურ ქალაქს, - გვითხრა აჭარის სკაუტური ორგანიზაციის პრეზიდენტმა შორენა ლომაძემ.

ზვარეს სკოლა პირველი იყო...

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქედის კულტურის ცენტრის დარბაზმა მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის მუნიციპალურ ჩემპიონატს უმასპინძლა. შეჯიბრებაში მერისის, ზვარის, დაბა ქედის, პირველი მაისისა და წონიარისის საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. პირველი ადგილზე ზვარეს საჯარო სკოლის გუნდი გავიდა.

მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი ქედის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის „ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართა.

„კაცმა შენება უნდა ისწავლო, ნგრევას სწავლა არ სჭირდება“

ქვეყანას ღირსეული, პატივდებული, ცხოვრებით დაბრძენებული ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებენ საქმეს, მრავლად ჰყავს. მათ შორის თამამად შეგვიძლია დავასახელოთ ტუნაძეებელი ოთარ ჭელიძე, რომელიც მალე 90 წელს მიითვლის. მისი ბიოგრაფია სოფლის, ქვეყნის სამსახურში გატარებულ მრავალ წელს იტევს, რასაც მისაბაძი შთამომავლობის წინამძღოლობაც ემატება

- ღირსეული წინაპრებით ვამაყობ. ისტორიულ წყაროებს თუ დავუჯერებთ, მესხეთის ძირძველ სოფელ ჭეჭლაშია ჩვენი ფესვები. მრავალშვილიანი ოჯახიდან აჭარის მთიანეთში სამი ძმა წამოსულა. ერთი ახლანდელ სოფელ ტუნაძეებში დამკვიდრებულა, მეორე - სოფელ ირემაძეებში, მესამე ძმის კვალი დაკარგულია. არ მიყვარს, რომ ამბობენ, გამოქცეულა, მკვლელობაში ან სხვა ბოროტებაში ეჭვმიტანილი ყოფილაო. საქართველოში მოსახლეობის ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლა ოდითგანვე იყო დამკვიდრებული. მაგალითისთვის მე-20 საუკუნეც საკმარისია, რომლის მომსწრე და მნახველი მეც ვარ. მარტო ღორჯომის ხეობიდან 2000-მდე კომლია გადასული ქვემო ქართლში, კახეთში, ჯავახეთისა და თრიალეთის ზეგნებზე, გურიის რეგიონში. ამჟამად სოფელ ტუნაძეებში არცერთი ტუნაძე არ ცხოვრობს. სხვა რეგიონებში გადასულებმა, სოფლის პატივსაცემად, გვარი არ შეიცვალეს. ჭელიძეებსა და ტუნაძეებს ნათესაური ურთიერთობებიც გვაქვს.

- საინტერესო შრომითი და ცხოვრებისეული გზა განვლეთ...

- ცხოვრება კინოკადრებივითაა, თვალს რომ გადავავლებ განვლილ გზას, ბედნიერებით ვივსები. სკოლის მერხიდან მოყოლებული, საქმისთვის ზურგი არ შემიქცევია. მეზობლის, მეგობრის სიყვარულისთვის არ მიღალატია. ღორჯომის სკოლის კურსდამთავრებულმა სახელოვანი პედაგოგების დამოძღვრით ვიცხოვრე. მათი უმრავლესობა ქვეყნის სხვა რეგიონებიდან იყვნენ მოვლინებულნი. დღეს მათ შვილებთან ვმეგობრობ. ბევრი განსაცდელი გამოვიარე. სხვებთან ერთად, მეც შემეხო მეორე მსოფლიო ომიც. სხვისი დარდის გაზიარება, მამულის სიყვარული, მშობლიური ენის დაცვა, მრწამსისადმი ერთგულება და ყველაზე მთავარი - მინდობილი საქმისადმი ერთგულება განვლილმა წლებმა მასწავლა. 18 წლის ვიყავი, როცა მშობლიური სოფლის ბრიგადირობა მანდეს. იქიდან მოყოლებული, ვიყავი სოფლის ხელმძღვანელი, 13 წელი ვიმუშავე ხულოს საგზაო სამმართველოში, 12 წელი - ენერგოკომპანიაში პასუხსაგებ თანამდებობაზე, მრავალი სამთავრობო ჯილდო, ქების სიგელი და მადლობის ბარათი ამშვენებს ჩემს საოჯახო არქივს. ახლაც ვსაქმიანობ შვილიშვილის მიერ გახსნილ შპს „ალიგატორში“, საქმიან რჩევებსაც ვაძლევ. 90 წლის განმავლობაში მრავალი დასამახსოვრებელი წელი მქონდა. თუნდაც ის პერიოდი, როცა სოფლის ხელმძღვანელმა ტუნაძეები მოწინავე კოლმეურნეობად ვაქციე, რაიონული საბჭოს დეპუტატი როცა ვიყავი, ღორჯომის ხეობის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ვზრუნავდი. მახსენდება 1999 წელი. სოფელ ტუნაძეების სკოლა ავარიულ შენობაში იყო. მაშინ ფული არც ქვეყნის ყულაბაში იდო და არც სოფელს ჰქონდა. რაიონისა და რეგიონის ხელმძღვანელობას თხოვნით მივმართე, სკოლის ახალი შენობა აგვეგო და 8-წლიანი სკოლა საშუალოდ გადაგვეკეთებინა. უარი არ მითხრეს. დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანე და 150 მოსწავლეს, საინიციატივო წესით, სკოლის ახალი შენობა ავუგეთ. ამ სტატუსით ტუნაძეებში, მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის მიუხედავად, სკოლა ისევ მოქმედებს.

- მინდობილი საქმის ღალატი არ გიყვართ. უსაქმურად ვერ ჩერდებით...

- ჩემი ცხოვრება, საქმიანობა ასე არ აეწყობოდა, რომ არა ერთგული თანამეცხედრე, ყველა ჩემი წარმატების გამზიარებელი მერი ართმელაძე-ჭელიძე. 2016 წლამდე, 60 წელზე მეტი ერთად მოვდიოდით. ხუთი შვილი გაიზარდა ჩვენს ოჯახში - სამი ქალიშვილი და ორი ვაჟი. ტყუპი გოგონების დაბადება ჩვენთვის ყველაზე დიდი სიხარული იყო. უკვე 15 შვილიშვილის, შვილთაშვილების, მათი შვილების მომსწრე ვარ. ჩემი და მერის შთამომავლობა 75 წევრს ითვლის. პატივს მცემენ, მეფერებიან, ჩემს რჩევა-დარიგებასაც ითვალისწინებენ. შვილიშვილი დავით ჭელიძე 2012-2013 წლებში ხულოს მუნიციპალიტეტის მერი იყო. კარგი ხელმძღვანელის სახელი დატოვა. მეგობრებზე გადაყოლილი კაცი ვარ. ამ ტრადიციას შვილები, შვილიშვილები აგრძელებენ. მთა ზოტიყელში მთის სახლი გვიდგას, კურორტ ბახმაროში - კოტეჯი. ყოველწლიურ „ზოტიყელობაზე“ მეგობრები გვსტუმრობენ და ვხალისობთ. ტატი როცა ვიყავი, ღორჯომის ხეობის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ვზრუნავდი. მახსენდება 1999 წელი. სოფელ ტუნაძეების სკოლა ავარიულ შენობაში იყო. მაშინ ფული არც ქვეყნის ყულაბაში იდო და არც სოფელს ჰქონდა. რაიონისა და რეგიონის ხელმძღვანელობას თხოვნით მივმართე, სკოლის ახალი შენობა აგვეგო და 8-წლიანი სკოლა საშუალოდ გადაგვეკეთებინა. უარი არ მითხრეს. დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანე და 150 მოსწავლეს, საინიციატივო წესით, სკოლის ახალი შენობა ავუგეთ. ამ სტატუსით ტუნაძეებში, მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის მიუხედავად, სკოლა ისევ მოქმედებს.

> ***„მე აჯანყების შემდეგ ვარ დაბადებული, მაგრამ მის მონაწილეებსა და მომსწრეებთან ხშირად მისაუბრია. ბოლშევიკების თარეშმა, მთიელთა თავმოყვარეობის შელახვამ მიიყვანა მოსახლეობა ამ დონემდე. იმ დროს ეროვნული ადათ-წესების დამცველი მამის ძმა აბას ჭელიძე აჯანყებულებს უთანაგრძნობდა“***

- წელს შესრულდა 95 წელი 1929 წლის აჯანყებიდან. აჭარის მთიანეთის მოსახლეობა მაშინ არსებულ ხელისუფლებას დაუპირისპირდა. ღორჯომის ხეობაში აჯანყების ერთ-ერთი მოთავე აბას ჭელიძე იყო. რა იცით ამ პიროვნების შესახებ?

- მე აჯანყების შემდეგ ვარ დაბადებული, მაგრამ მის მონაწილეებსა და მომსწრეებთან ხშირად მისაუბრია. ბოლშევიკების თარეშმა, მთიელთა თავმოყვარეობის შელახვამ მიიყვანა მოსახლეობა ამ დონემდე. იმ დროს ეროვნული ადათ-წესების დამცველი მამის ძმა აბას ჭელიძე აჯანყებულებს უთანაგრძნობდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა სხვა ხეობების (ჭვანა, სხალთა-ხიხანი, ბელღეთ-დანისპარაული) აჯანყებულთა მეთაურებთან. აბასი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ღორჯომელები უსმენდნენ და ენდობოდნენ. აჯანყებულებმა კომუნისტები, კომკავშირლები, აქტივისტები, სულ 100-მდე კაცი შეაგროვეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ფიზიკურადაც გაუსწორდნენ და სოფელ წინწკალაშვილებში ზეირალ ართმელაძის საბძელში გამოკეტეს. გამოიტანეს ვერდიქტი, რომ ის პირები, რომლებიც ჩადრის ახდის კამპანიაში იყვნენ ჩართულები, ცეცხლზე დაეწვათ. ბრბოს აბას ჭელიძე წინ აღუდგა, რას აკეთებთ, ეს ქმედება ღორჯომელთა მომავალს დააზარელებს, ამ ცოდვას თაობები ვერასოდეს ვერ ჩამოირეცხავენო. აჯანყებულებმა განზრახვაზე უარი თქვეს. აბასი მაშინ 29 წლის იყო. მას სამი ქალიშვილი ჰყავდა. აჯანყების ჩასახშობად აჭარის მთიანეთში ჩამოსულმა ლავრენტი ბერიამ და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებმა აჯანყების მეთაურების დაპატიმრება გადაიფიქრეს. ერთ-ერთი მოთავე ალისულთან ბოლქვაძე ხელისუფლებას არ ენდო და ქვეყნიდან წასვლა დააპირა. აბასსაც უთხრა, გამომყევიო, მაგრამ მან უპასუხა: შენ გაგაცილებ და მერე მეც წამოვალო. აჯანყებულები იმავე დღეს, აბას ჭელიძის მეთაურობით, საქართველო-თურქეთის საზღვარზე არსებულ საგუშაგოს თავს დასხმიან და ალისულთანი 30-მდე თანამებრძოლთან ერთად თურქეთში გაუცილებიათ. ამის შემდეგ აბას ჭელიძე თავისი ნებით ოზურგეთის უშიშროებას ჩაბარდა იმ იმედით, რომ დანაშაულს აპატიებდნენ, ან მცირე სასჯელს აკმარებდნენ... აბასს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. სასჯელს ქალაქ პერმში იხდიდა, საიდანაც ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. ობლად დარჩენილი ქალიშვილები ბიძებმა აღზარდეს. მათგან ერთი - მიხრიბანი, ჩვენს ოჯახში იზრდებოდა. დღეს აბასის სამივე შვილი ცოცხალია. მამის დამსახურებას არ ივიწყებენ. სხვათა შორის, ალისულთან ბოლქვაძის შესახებ წიგნი დაიწერა, მაგრამ აბას ჭელიძესთან მისი ურთიერთობის შესახებ არაფერი დაწერილა, რაც სხვებმა უნდა გაითვალისწინონ. მადლობა გაზეთ „აჭარას“, რომ მისი საშუალებით საზოგადოებას ბიძის - აბას ჭელიძის საქმიანობა გავაცანი.

- შთამომავლებზე რას გვეტყვით?

- ღირსეულ წინაპარზე უკვე გიამბეთ. ისეთივე წესებით იცხოვრა მამაჩემმა ახმედ ჭელიძემ. ამ წესით ცხოვრობენ ჩემი შთამომავლები. ისინი ნიჭს, უნარს, შესაძლებლობას ქვეყნის მომავალს ახმარენ. ფირმა, რომელიც „ალიგატორის“ სახელით მოქმედებს, ყოველწლიურად 500-მდე ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახს ეხმარება. ღორჯომში ყველა სიახლის წამომწყებთ გვერდით უდგას. შარშან სახალხო დღესასწაულს „შემოდგომა ღორჯომში“ ჩაუყარა საფუძველი. შვილიშვილმა სელმან ჭელიძემ მის ორგანიზებულად ჩატარებას შეუწყო ხელი. ამაგი მიფასდება. ყველგან მეგობარი, თანამდგომი მყავს. მეკეიძეებელი რევაზ მიქელაძის ქალიშვილი მზიური მიქელაძე ჩემს შვილიშვილ დავით ჭელიძეზე რომ იყო დანიშნული, იმხანად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, რეგიონის პირველმა პირმა დიდი თანადგომა გამიწიეს და მზიურის უნივერსიტეტში სწავლა დამიფინანსეს. დღეს იგი წარმატებული თერაპევტი, კარგი მეოჯახე და დედაა. კურორტ ბახმაროში წასვლა მახარებს. იქ მყოფს, გურიაში მცხოვრები მეზობლები მაკითხავენ... კარგი დროა, მაგრამ ზოგიერთები მას ცუდად იყენებენ. კაცმა შენება უნდა ისწავლო, ნგრევას სწავლა არ სჭირდება. ახლა ფუტკარს ვუვლი, კარგად ვემსახურები და კიდეც მიფასდება. საუკეთესო მეგობრებს, ახლობლებს თაფლით ვუმასპინძლდები. ტუნაძეებელ ჭელიძეებს უქმად ყოფნა ძალიან გვიჭირს.

„სოფელში თუ იშრომებ, დაგაფასებენ და გალიარებენ“

თემის სამედიცინო პუნქტები ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ აჭარის სოფლებშია. იქ დასაქმებული მედიცინის დები დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას. ერთი მათგანია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების თემის სამედიცინო პუნქტის ექთანი ნინო ბიბინეიშვილი, რომელიც შარშან დარგის საუკეთესო მუშაკად აღიარეს. იგი ჩვენი სტუმარია.

- ხელვაჩაურის სოფელ ერგეში ელენე ვერძაძისა და ტარიელ ბიბინეიშვილის ოჯახში სამი ქალიშვილი ვიზრდებოდით. მშობლები მზრუნველობასა და თანადგომას არ გვაკლებდნენ. რამდენიმე წლის წინ ხაბელაშვილებელ ზვიად ბერიძესთან ერთად ოჯახი შევქმენი. უკვე სამი შვილის მშობლები ვართ. უფროსი მეცხრე კლასის მოსწავლეა. იგი სპორტითაა გატაცებული. მწვრთნელი გელა ზოიძე ქართულ ჭიდაობაში წარმატებებს უწინასწარმეტყველებს, ქალიშვილები სანიმუშო ქცევითა და წარჩინებული სწავლით გვახარებენ. მთავარია, ოჯახში სიყვარული იყოს, დანარჩენს მოევლება.

- შარშან საუკეთესო მედდად გაღიარეს. რამ განაპირობა ეს?

- პირველ რიგში, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალმა პასუხისმგებლობამ. იოლი არაა, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში დგომა. უნებლიე შეცდომა და ყველაფერი წყალში ჩაგეყრება. ყოველ დაძახებაზე პაციენტებთან ვარ, ბევრიც გადამირჩენია. საშინელ ავტოავარიას შევესწარი, ვატყობდი, რომ საკუთარი უნარი და ცოდნა საკმარისი აღარ იყო და სასწრაფო დახმარება გამოვიძახე, მსხვერპლი ავიცილეთ. სოფელში ზოგიერთი ოჯახი მაინც რჩება კვალიფიციური სამედიცინო პატრონაჟის გარეშე. მათთან ხშირად მივდივარ, ვარიგებ, კონსულტაციას ვუწევ. უმრავლესობა მენდობა. რამდენიმე პაციენტს ინსულტისა და ინფარქტის ნიშნები ჰქონდა. დროული ჩარევით მათი გადარჩენა შევძელი. სოფელში თუ იშრომებ, გამოჩნდები, დაგაფასებენ, გაღიარებენ. გავისარჯე და დამიფასდა. ვსარგებლობ თქვენი გაზეთით და ყველას მადლობას ვუხდი.

- 23 მაისს თქვენი დაბადების დღე იყო. ვისგან მიიღეთ პირველი მოლოცვები?

- რა თქმა უნდა, პაციენტებისგან. მათ ყველაზე მეტად პანდემიისა და ეპიდემიის პერიოდში დავუახლოვდი. ჯერ - უფლის ნებით, შემდეგ ჩვენი ენერგიული მუშაობით, წესების დაცვით, საბედისწერო შემთხვევა არ გვქონია. მათთან ვიყავი მთასა და ბარშიც. ერთ ამბავს საჯაროდ მოვყვები. თაგინურზე, პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე, „შუამთობის“ დღესასწაულზე ვიმყოფებოდი. გასართობი ღონისძიებები დაიწყო თუ არა, ორი გოგონა მოვიდა და მშობიარე ქალის დახმარება მთხოვა. თეორიულად კი ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ პრაქტიკა მაინც სხვაა. გამიმართლა მეც, დედასაც და ახალშობილსაც. სოფელი, მთა ასეთი წესით ცხოვრებას და პროფესიულ მუშაობას ითხოვს ყველასგან, განსაკუთრებით მედიცინის დარგის მუშაკებისგან. ისე, დედა ყველას ასწრებს მოლოცვას. მახარებს მეუღლისა და შვილების მოლოცვები.

- სოფელი ცარიელდება, ყველას ბარის რაიონებისა და ქალაქისკენ უწევს გული. ერგეში დაბადებული და გაზრდილი გოგონა მთაში როდემდე გაძლებთ?

- პროფესიამ, კეთილმა ადამიანებმა შემაყვარა აქაურობა. ახლა ერთი მიზანი მაქვს, ვიცხოვრო და ვიშრომო ისე, რომ ადამიანებისგან მადლობა და პატივისცემა დავიმსახურო.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ბათუმელი გულშემატკივარი გამორჩეულია

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ბოლო პერიოდში საფეხბურთო ფანკლუბი და ფანკულტურა ჩვენს ქვეყანაში ძალიან პოპულარული გახდა. ფანკლუბის წევრები უდიდეს როლს ასრულებენ, რომ თამაში კარგად წარიმართოს. მათი გამხნევება და შეძახილი ფეხბურთელებს უდიდეს ძალას მატებს და ასე ერთად მიდიან გამარჯვებამდე

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბათუმის„დინამოს“ ფანკლუბი („პირატები“), რომლის წევრები მუდამ საყვარელი ქალაქის გუნდის გვერდით დგანან და წაგებასა თუ სიხარულს ერთად ეგებებიან.

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ბათუმის „დინამოს“ ფანკლუბის წევრი ***გიორგი ჩხაიძეა,*** *რომელიც „პირატებთან“ დაკავშირებულ საინტერესო თემებზე გვესაუბრა.*

- თავდაპირველად, ფანკლუბ „პირატების“ ჩამოყალიბების ისტორიაზე გვიამბეთ.

- 2011 წელს ფანკლუბი დააფუძნა გივი გაგუამ, რომელსაც სურდა, ეს ფანკულტურა ბათუმში დაენერგა მას შემდეგ, რაც 2011 წლის 26 მარტს მთელი საქართველო გაერთიანდა ხორვატიასთან მატჩის საგულშემატკივროდ და შეიქმნა „ქომაგების“ სექტორი. იმავე წელს გივი გაგუამ გადაწყვიტა, ბათუმშიც ყოფილიყო ფანდაჯგუფება, რომელიც ადგილობრივი კლუბის ღირსებას დაიცავდა და საკუთარი ქალაქის გუნდით იამაყებდა.

- რამდენი წელია, რაც ბათუმის „დინამოს“ ფანკლუბის ერთ-ერთი ლიდერი ხართ?

- ფანკლუბში 2015 წლის ბოლოს, 14 წლის ასაკში მივედი, მაშინ „დინამო“ ქობულეთში ატარებდა საშინაო მატჩებს და ეს პერიოდი რთული, მაგრამ ერთგვარად განსაკუთრებული იყო - გამოიწრთო ფანკლუბის სახე და ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი თამაში ბათუმიდან კილომეტრების დაშორებით ტარდებოდა. ბოლო 3 წელია, რაც ფანკლუბის „კაპო“ (ტრიბუნის ხელმძღვანელი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, რა შეძახილი გააკეთოს, როგორ მოიქცეს ფანკლუბი 90 წუთის განმავლობაში) ვარ. რაც ახალი სტადიონი აშენდა, მას შემდეგ ფანკლუბის სიძლიერეზე ყველა მიმართულებით ერთ-ერთი პასუხისმგებელი ადამიანი ვარ, რომელიც ყველაფერს გააკეთებს, საკუთარი ქალაქის ფერები და ღირსება ყველგან რომ იყოს დაცული - საშინაო მატჩებში თუ გასვლით თამაშებზე. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და საერთო პასუხისმგებლობა გვაქვს ქალაქის სიდიადესთან დაკავშირებით.

- ხშირად სხვადასხვა ფანკლუბის წარმომადგენლები ჩხუბობენ და, უხეშად რომ ვთქვათ, ერთმანეთს ვერ იტანენ...

- დიახ, ფანკულტურაში ხშირად არის ჩხუბის შემთხვევები, დაუწერელი წესია, რომ სხვა ქალაქის გუნდს, რომელიც შენთან „ალიანსში“ არ არის, ყოველთვის „საფეხბურთო ჯოჯოხეთი“ უნდა დაახვედრო. შენს ქალაქში მოწინააღმდეგე ფანკლუბს არ უნდა მისცე ზეიმის საშუალება და მის შესაჩერებლად ხშირად ფიზიკურ დაძაბულობამდეც მიდის საქმე.

- თქვენი კლუბი ხშირად დაჭყვება ბათუმის „დინამოს“ გასვლით თამაშებზე. როგორ ახერხებთ ამის უზრუნველყოფას?

- ფანკლუბი მე-12 მოთამაშეა და უდიდესი როლი აქვს საფეხბურთო ცხოვრებაში. ფანკლუბი არა მარტო იცავს საკუთარი ქალაქის ღირსებას და სახელს, არამედ ეხმარება და სტიმულს აძლევს ჩვენი ოჯახის წევრებს, რომ გამარჯვება გარდაუვალი იყოს. ამავდროულად, ყოველთვის ტონუსში ვამყოფებთ ფეხბურთელებს, რათა ახსოვდეთ, რა ფერებს ატარებენ და ვისთვის უნდა დაიხარჯნონ თავდაუზოგავად, ეს არის დამატებითი ძალა, რისი უპირატესობა ჩვენ გვაქვს, სხვა გუნდებისგან განსხვავებით, გასვლაზე თუ საშინაო შეხვედრებში.

- რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქართველოში ფანკლუბის კულტურა უფრო განვითარდეს?

- საქართველოს ჩემპიონატს კარგი შეფუთვა, პიარი და, რა თქმა უნდა, ცნობადობის ამაღლება სჭირდება, რომ შენ ემსახურო შენს ქალაქს და მის გუნდს. ფანკლუბებმა კარგად უნდა გააანალიზონ, რას ემსახურებიან და რა მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფანკლუბის განუყოფელი ნაწილია ფეხბურთელი. მწვრთნელი შეიძლება შეიცვალო, მაგრამ ფანკლუბს ვერ შეიცვლი და შენ უნდა იდგე ყოველთვის იქ, სადაც საკუთარ ქალაქს სჭირდება.

- როგორც ვიცით, ფეხბურთელებთან პირადადაც მეგობრობთ...

- ფეხბურთელებთან მხოლოდ საქმიანი დამოკიდებულება გვაქვს. როდესაც ფეხბურთელი ჩაირიცხება „დინამოში“, ის ავტომატურად ჩვენი ოჯახის წევრი ხდება, რომელსაც მოფრთხილება და დაფასება სჭირდება. ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემთ და გავდივართ მოედანზე, როგორც ერთი გუნდი.

- ფანკლუბის წევრები რამდენად ახერხებთ გულშემატკივრის აყოლიებას, თუნდაც ემოციურად?

- ფანკლუბის ერთ-ერთი მიზანიც ისაა, რომ ჩვეულებრივი გულშემატკივარი ავიყოლიოთ და კარგი ატმოსფერო შევქმნათ. ვფიქრობ, ბათუმელი გულშემატკივარი ყველაზე გამორჩეულია ამ მხრივ და მარტივია ფანკლუბის და გულშემატკივრების კომუნიკაცია, რომელიც ხშირად ერთობლივი პერფორმანსებით თუ სიმღერებით გვირგვინდება.

- ფანკლუბის სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

- „პირატების“ მიზნები ყოველთვის მაქსიმალურია. გარდა შიდა ასპარეზობისა, ჩვენი ამბიციაა საერთაშორისო მასშტაბებზე გასვლა, სადაც ჩვენი სიტყვა გვინდა ვთქვათ. ამგვარად, „პირატებისგან“ უნდა ველოდოთ მეტ განვითარებას.

> ***„დაუწერელი წესია, რომ სხვა ქალაქის გუნდს, რომელიც შენთან „ალიანსში“ არ არის, ყოველთვის „საფეხბურთო ჯოჯოხეთი“ უნდა დაახვედრო. შენს ქალაქში მოწინააღმდეგე ფანკლუბს არ უნდა მისცე ზეიმის საშუალება და მის შესაჩერებლად ხშირად ფიზიკურ დაძაბულობამდეც მიდის საქმე***

გინესის შუახეველი რეკორდსმენი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გინესის რეკორდსმენი, შუახევის რაიონის სოფელ ტაკიძეების მკვიდრი, ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები ***ნუგზარ გოგრაჭაძე*** *50 წლის გახდა.*

- ბატონო ნუგზარ, აჭარის მთიანეთის მკვიდრთაგან პირველი ხართ, ვინც გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. ეს ყველაფერი როგორ დაიწყო?

- მადლობა, რომ სამშობლოდან ასე შორს მყოფი გაგახსენდით და დამდეთ პატივი, გაზეთის საშუალებით ვესაუბრო ჩემს მონატრებულ ქვეყანას. პირველი მცდელობა იყო კბილებით 185-კილოგრამიანი შტანგის აწევა იყო, მეორე მცდელობა - მაგიდის აწევა ასევე კბილებით. მაგიდაზე ელაგა გირეები - საერთო წონით 165 კილოგრამი. ასე ნელ-ნელა მივდიოდი სასურველ მიზნამდე. სიმძიმეების აწევის შემდეგ კბილებით ნივთების, მსუბუქი ავტომობილების გადათრევა დავიწყე.

- ყველაზე მძიმე ტექნიკა, რომელიც გადაათრიეთ...

- პირველი სარეკორდო მცდელობა 28-ტონიანი სატვირთო „კამაზის“ 225 მეტრზე ბაგირით გაწევა იყო. ამას მოჰყვა მსოფლიო რეკორდი კბილებით 205 კილოგრამი შტანგის 17 სანტიმეტრის სიმაღლეზე წამოწევაში, შემდეგ - მატარებლის 228-ტონიანი ვაგონის ბაგირით გაწევა 5,5 მეტრზე - კბილებით, მატარებლის 12 ვაგონის (10 150 ტონა) 5 მეტრსა და 63 სანტიმეტრზე მხრებით გათრევა, რაც მაშინვე გინესის რეკორდების სიაში შევიდა. მანამდე სამი რეკორდი მქონდა მოხსნილი და გინესის წიგნშიც ვიყავი შესული, თუმცა ამ ბოლო რეკორდმა დიდი პოპულარობა მომიტანა.

- ოჯახთან ერთად უცხოეთში ცხოვრობთ. ამჟამად რას საქმიანობთ?

- სპორტით ვარ დაკავებული - ბავშვებს ვავარჯიშებ ძიუდოში, მიღწევებიც გვაქვს. მინდა, ჩემი მოსწავლეები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, ეს არის ჩემი უპირველესი მიზანი. სხვათა შორის, უმრავლესობა ქართველია.

- ქალაქის ის ნაწილი, სადაც ცხოვრობთ, გინესას სახელით გიცნობთ. ეს ზედმეტსახელი გარემოების კარნახით იქ გიწოდეს თუ მეგობრებმა დაგარქვეს?

- რა თქმა უნდა, გარემოების კარნახით შემარქვეს. აქ ნუგზარს თითქმის არავინ მეძახის. თავდაპირველად, როდესაც ჩამოვედი, ყველას საკუთარი სახელით ვეცნობოდი, მაგრამ მერე, როდესაც გაიგეს, რომ ოთხგზის რეკორდსმენი ვიყავი და გინესის რეკორდსმენი, გინესა შემარქვეს.

- ამ დღეებში მშობლიური კუთხიდან 20-ზე მეტი ახლობელი და მეგობარი გსტუმრობდათ...

- უკვე ნახევარი საუკუნის გავხდი და ეს იყო სტუმრობის მიზეზი. აქ ბევრი უცხოელი მიცნობს და ყველამ დაინახა, რომ ქართველები დედმამიშვილურ, ნათესაურ, მეგობრულ ურთიერთობებშიც რეკორდსმენები ვართ. დაუვიწყარი დღეები გავატარეთ. 20 წლის განმავლობაში პირველად მესტუმრა ჩემი უახლოესი გარემოცვა. აქ ყველას გაუკვირდა ოჯახში ამ რაოდენობის სტუმარი, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა არის ქართველობა, მეგობარ-ნათესავების სიყვარული. ამას უცხოელს ვერც აუხსნი და ვერც გაიგებს. მიყვარხართ ყველანი და ყოველთვის გელოდებით.

- ასაკმა ხომ არ შეგაშინათ?

- სიმართლე გითხრათ, ძალიან ახალგაზრდა მგონია თავი. მადლობა უფალს, ჯერჯერობით, ისევ ფორმაში ვარ.

- კარგი და სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი გყავთ...

- მყავს მეუღლე და ორი შვილი. მეუღლეს უყვარს ქართველები, ქართული ტრადიციები, სტუმრიანობა. კარგი მენეჯერი და მეოჯახეცაა. აჭარელი ქალისაგან მხოლოდ იერსახითა და ენით განსხვავდება. თავისი სურვილით, გვარი შეიცვალა და გოგრაჭაძე გახდა. გამიმართლა, რომ საუკეთესო ქალი შემხვდა.

- შვილებმა ქართული ენა თუ იციან?

- იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა, მეგობრები და, ზოგადად, გარემო არაქართულია, ჩემი დახმარებით აითვისეს მშობლიური ენა, თუმცა კომპლექსი აქვთ და ჯერჯერობით ქართულად საუბარს გაურბიან.

- საქართველოში დაბრუნებაზე რას იტყვით?

- მიუხედავად იმისა, რომ აქ საკმაოდ კარგად მოვიკიდე ფეხი, სიზმარში საქართველო, ჩემი შუახევი, ჭვანა და ცივაძეები მესიზმრება. მალე იცი წელი შესრულდება, რაც აქა ვარ და ასე მგონია, საუკუნე გავიდა. რა თქმა უნდა, დაბრუნებას ვაპირებ და ეს ჩემი მეუღლის სურვილიცაა.

> ***„გარემოების კარნახით შემარქვეს. აქ ნუგზარს თითქმის არავინ მეძახის. თავდაპირველად, როდესაც ჩამოვედი, ყველას საკუთარი სახელით ვეცნობოდი, მაგრამ მერე, როდესაც გაიგეს, რომ ოთხგზის რეკორდსმენი ვიყავი და გინესის რეკორდსმენი, გინესა შემარქვეს***

„სიყვარული ერთადერთია, რასაც ხარჯავ და... ბევრდება“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჩვენი თანამემამულე, მწერალი ნათია ხადური საზღვარგარეთ მცხოვრებ იმ ემიგრანტებს მიეკუთვნება, თავიანთი კეთილი საქმეებით ყურადღებას რომ იპყრობენ როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთშიც

ქალბატონი ნათია ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს და ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა. მისმა რომანმა („ჯარისკაცის საგზალი“) ამერიკელი გამომცემლების მოწონება დაიმსახურა. ის ინგლისურად ითარგმნა, ხოლო ახლახან ნიუ-იორკის ქართული კულტურის ცენტრში გამართულმა მისი პოეზიის საღამომ ნათლად წარმოაჩინა, რომ ლიტერატურას ნათია ხადურის სახით ერთგული და საინტერესო მოღვაწე ჰყავს.

- ქალბატონო ნათია, ნიუ-იორკში უკვე მრავალ წარმატებას მიაღწიეთ, გილოცავთ. თავად როგორ აღიქვამთ თქვენს ბოლოდროინდელ მიღწევებს?

- უპირველესად, უდიდესი მადლობა თქვენ და თქვენს გაზეთს ჩემ მიმართ გამოვლენილი ყურადღებისთვის. ნამდვილად პირველები ხართ ამ თვალსაზრისით და, როდესაც ჩემი მასშტაბური გეგმა შესრულდება, ასევე თქვენ იქნებით პირველი, ვისაც ჩემს სიხარულს გავუზიარებ. რაც შეეხება შეკითხვას, ერთადერთი, რასაც ზედმიწევნით ცხადად აღვიქვამ, ეს ადამიანების სიყვარულია. გულწრფელია მათი სიყვარული ჩემდამი და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

- აპრილში გამართულმა თქვენი პოეზიის საღამომ თურმე არა მარტო ქართველი ემიგრანტები, არამედ სხვა ეროვნების ადამიანები და თვით ამერიკელებიც დაინტერესა...

- ეს იყო საოცარი ემოცია და შეგრძნება, ასევე სურვილი, სულ ამ ადამიანების გვერდით ვიყო. რაც მაშინ ვერ გავუზიარე მათ, მინდა, შემდეგმა შეხვედრამ მომცეს ამისი შესაძლებლობა. შეუძლებელია, ერთმა პროგრამამ დაიტიოს ყველაფერი, რისი თქმაც მინდა ხოლმე. თანაც, ის სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, მოსმენა, მოკითხვა, ერთმანეთის ამბებით დაინტერესება, რაც თან ახლავს ჩემი პოეზიის საღამოებს, ორგანულ მოთხოვნილებას აჩენს, რაც შეიძლება მალე ისევ ჩავეხუტოთ ერთმანეთს.

- რა შეგიძლიათ გვითხრათ ნიუ-იორკში ქართული კულტურის ცენტრის საქმიანობაზე?

- ნიუ-იორკში, საბედნიეროდ, უკვე ქართული კულტურის არაერთი ცენტრი არსებობს... და არა მხოლოდ - აქ. ყველას უდიდესი მადლობა ჩვენთვის ამ მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმის მსახურებისთვის, მაგრამ ახლა უნდა გიამბოთ ამერიკაში ქართული კულტურის პირველ ცენტრზე, რომელთან მეგობრობის პატივიც მხვდა წილად. ესენი არიან ისეთი საოცარი ადამიანები, ზღაპრიდან მოვიდნენო, რომ იფიქრებთ. სწორედ ზღაპარს ჰგავს მათი შექმნილი ატმოსფერო და კერა, სადაც ყველა - დიდი თუ პატარა, ბედნიერია. უდიდესი შრომა, ძალისხმევაა ჩადებული ამ კედლებში და რაოდენ გულის ამაჩუყებელია, რომ აქ დაბადებულ ქართველებს გადაეცემათ ქართული ენისა და კულტურის ზუსტად იმ ხარისხისა და შინაარსის სიტკბო, როგორიც მათ სამშობლოშია. დაუსრულებლად შემიძლია გიამბოთ ქალბატონ ლიკასა და ბატონ ვიქტორ სირელსონების ფასდაუდებელ ამაგზე, რომელთა ძალისხმევამაც დღეს ქართულად ამღერებულ-აცეკვებული უამრავი ახალგაზრდის წარმატება განაპირობა. ისინი არამხოლოდ ახალგაზრდებს უხსნიან ხელ-ფეხს ამ გიგანტ ქვეყანაში შემოქმედებითად განვითარებისთვის. ჩემი პოეზიის ორი საღამოც სწორედ აქ შედგა, რაც იყო აბსოლუტური და უპირობო მხარდაჭერა მათგან. ახლა ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: ვმუშაობ ერთ-ერთ პროექტზე, რომელიც ძალიან მალე ყველას თვალწინ გადაშლის ნამდვილ ამბავს ქართული კულტურის ნერგის გადარგვისა დიდ ამერიკაში, რომელმაც ისე გაიხარა, რომ დღეს დიდტოტება მუხა გვაქვს ქართველებს სირელსონების დაფუძნებული ქართული კულტურის ცენტრის სახით. მარტო ის რად ღირს, რომ ბატონი ვიქტორი ქართულ ცეკვებს ფენომენალურად ასრულებს. ამ ამბავზე მეტს ვეღარ გიამბობთ, განა იმიტომ, რომ არ მინდა, ერთი სული მაქვს, ყველაფერზე ვილაპარაკო, თანაც თქვენც დაგპირდით დასაწყისში, რომ ყველაფერს გაგიზიარებთ პირველებს-მეთქი, მაგრამ ამ პირობას ის აცლის ძალას, რომ თქვენზე ადრე მათ შევპირდი, რომ ჯერ არ უნდა ვისაუბრო ამაზე. ძალიან მალე, მოდით, ყველამ ერთად გავიხაროთ.

> ***ახლა ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: ვმუშაობ ერთ-ერთ პროექტზე, რომელიც ძალიან მალე ყველას თვალწინ გადაშლის ნამდვილ ამბავს ქართული კულტურის ნერგის გადარგვისა დიდ ამერიკაში, რომელმაც ისე გაიხარა, რომ დღეს დიდტოტება მუხა გვაქვს ქართველებს სირელსონების დაფუძნებული ქართული კულტურის ცენტრის სახით***

- როგორც ვიცით, შარშან - მაისში ამერიკაში ქართველების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა...

- ეს ღონისძიება ყოველ წელს იმართება კომპოზიტორ-შემსრულებელ თამარ დავითაშვილის ეგიდით და ერთ-ერთი მაღალი კლასის, აკადემიურად ორგანიზებული ღონისძიებაა ქართველების მიერ შედგენილი. შარშან სტუმრის სტატუსით გახლდით მიწვეული და წელსაც ამავე სტატუსით დავესწრები ამ ღონისძიებას, რომელიც ივნისის დასაწყისში გაიმართება. ამდენი წარმატებული ქართველის ერთდროულად ხილვა ჩვენი ნიჭის ნამდვილი ზეიმია და, რა თქმა უნდა, უდიდეს მადლობას ვუხდი ქალბატონ თამარს ამ ემოციისთვის. ეს ღონისძიება თავისი შინაარსითა და მასშტაბით ძალიან დიდია, რადგან ბრუკლინის მერის, ბატონ ერიკ ადამსის უშუალო მხარდაჭერითა და თანდასწრებით ჯილდოვდებიან ჩვენი წარმატებული ადამიანები, რაც ქალბატონ თამარის დამსახურებაა. ასევე, ჟურნალისტი და პოეტი, ყველასთვის საყვარელი ადამიანი ლელა ნინუა აკეთებს დიდი მასშტაბის პროექტს „სამოსი სამშობლო“, რომლის მონაწილე ვარ წელს. ჩართულია ძალიან ბევრი ნიჭიერი ჩვენი თანამემამულე ყველა ქვეყნიდან. მიხარია და დიდი გულმოდგინებით ვემზადები. ამ პროექტს მადლობის წერილი გამოუგზავნა ჩვენმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, რაც ძალიან დასაფასებელია. წერილი ყველასთვის სიურპრიზი იყო. იგი მსახიობმა, კასკადიორმა და მოცეკვავე ლაშა მძინარაშვილმა ჩამოიტანა საქართველოდან. მან გასაოცარი ამბავი დაატრიალა ჰოლივუდში მსოფლიო კასკადიორების დაჯილდოებაზე და ეს საოცრებები დღემდე გრძელდება. საოპერო მომღერალი, რომელმაც ევროპის დიდი სცენებიდან ამერიკაში გადმოინაცვლა, აცვიფრებს და აღფრთოვანებს ამერიკელებს, ჩვენზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კარნეგი ჰოლის დიდ სცენას, ვფიქრობ, მალე პირად საკუთრებაში გადასცემენ, ისეთი დიდია ეს ადამიანი - გოჩა აბულაძე. როგორ არ ვიყო ბედნიერი? რამდენი გიამბოთ... მაშინ ყოველ კვირა უნდა გაგიზიაროთ ჩემი სიხარული, აქ იმდენი ქართველი ხდება პირველადგილოსანი თავის საქმეში.

- თქვენი რომანი „ჯარისკაცის საგზალი“ ინგლისურად ითარგმნა და „ამაზონზეც“ დევს გასაყიდად, სატელევიზიო პროგრამაშიც მოგიწვიეს... გზა ასეთი წარმატებისკენ არ იქნებოდა იოლი.

- ამ წიგნზე საუბარი ყველა ტკივილს მავიწყებს, რაც კი ოდესმე განმიცდია. წიგნის „ამაზონზე“ დადებას ათასი თანმდევი ნიუანსი აქვს. ყველაფერს თანხა სჭირდება საწყის ეტაპზე და მე არასდროს მყავს სპონსორი. ყველაფერში საკუთარი შრომით გამომუშავებულ ფულს ვიხდი. და კიდევ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მყავს ღმერთისგან ბოძებული მეგობრები, რომლებიც საჭირო დროს მეხმარებიან. მათი დამსახურებით გავძლიერდი და გადავდივარ შედარებით მშვიდ ეტაპზე ყველა თვალსაზრისით. ამერიკული ტელევიზიებიდან მივიღე შემოთავაზება, მაგრამ ჯერ ერთ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებ და მთელი ძალისხმევა - ემოციურიცა და ფინანსურიც სწორედ აქეთკენ მივმართე. პრიორიტეტები დალაგებული მაქვს და მივყვები მშვიდად, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერს. სხვათა შორის, რამდენიმე საათის წინ მივიღე მოწვევა ღონისძიებიდან, რომელიც ნოემბრის დასაწყისში გაიმართება და თანხმობაც უყოყმანოდ ვუთხარი მათ, სიხარულით გავემგზავრები ახალი გამოწვევებისთვის არიზონის შტატში.

- „ფოტოგრაფია არის დუმილით გადმოცემული ლექსი და მუსიკა ერთად“ - ასეთ დასკვნამდე, ცხადია, უცებ არ მიხვედით. რა შეგიძლიათ გვითხრათ თქვენი ფოტოგრაფიით დაინტერესებაზე?

- გეტყვით, რა განცდამ მათქმევინა ეს სიტყვები. ამ შემთხვევაში მაინც ლექსს ავირჩევდი, რადგან მეტყველებ, მეტყველება კი მარტივია აზრისა და გრძნობების გამოსათქმელად. მუსიკა „ხმაურობს“ და ასე მეტყველებს, ნოტებით ამბობს სათქმელს. აი, ფოტოგრაფია ნამდვილად არის დუმილით გადმოცემული ლექსიცა და მუსიკაც - ერთად. რაც ფოტოხელოვანმა კადრში მოაქცია, შენ უნდა გაიგო, როგორი პოეზიაა და რა მელოდიას იტევს. სხვათა შორის, ხშირად გამხდარა ფოტოკადრი ჩემი ლექსის შთაგონების წყარო, ანუ, გამოდის, რაც კადრში დუმილით გადმოიცემა, მე ლექსად ავამეტყველე. მუსიკოსი მელოდიას დაწერს და ასე შემდეგ.

- „შენ ხარ ლამაზი ადამიანი“ - ეს რუბრიკა დააარსეთ ფეისბუქის გვერდზე და პოპულარიზაციას უწევთ ათობით ადამიანს... ახლა არჩევანს ვისზე გააკეთებთ?

- გასულ ორშაბათს მომინდა, მადლობა მეთქვა ადამიანისთვის, რომელმაც გულწრფელად გამიღო თავისი სახლის კარი და ბევრი სიკეთე გამიკეთა - ეს არის სოფო ასათიანი, „სიკეთის ასათიანი“ დავარქვი, ასევე, ლალი იმერლიშვილი და ხათუნა ფილაური. დღეს მაიკო გულედანს დავუწერე ჩემი გულიდან სამადლობელი. კიდევ უამრავ ადამიანზე უნდა ვილაპარაკო. დაე, იყოს ყოველკვირეული რუბრიკა, რომელსაც ორშაბათ დილისთვის დავახვედრებ მკითხველს...

- როცა მომავალში იხედებით, როგორ ხედავთ საკუთარ თავს და კიდევ რას დაწერთ ლექსად, პროზად?

- პირველი წიგნი როცა დავწერე, მაშინ გავიფიქრე, ამის შემდეგ რაღას ვიზამ-მეთქი. მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა და... სათქმელი არ გამოილია. ამიტომ ვამბობ, რომ ჯერ არაფერი დამიწერია. ყველაფერი საუკეთესო წინაა. ამას ისიც ემატება, რომ თავად ჟანრიც შემომემრავალფეროვნა, მაგალითად, კაფია, ბიოგრაფიული რომანი... პიესის დაწერის დიდი სურვილი მაქვს, ასევე - სცენარის. ახლა ვიწყებ ბიოგრაფიული რომანის წერას.

- თქვენი ამერიკელი მეგობრები წარმოგვიდგინეთ: ვისთან ურთიერთობთ? რა გიზიდავთ მათში?

- ურთიერთობები ყოველთვის თანაბრად გამომდიოდა ყველა ეროვნების ადამიანთან, ვისაც ჩემი ცხოვრების გზაზე შევხვედრივარ. ადამიანის შეფასების ჩემი უპირველესი კრიტერიუმი არის ის, რომ უნდა იყოს კეთილი (ძუნწ ადამიანთან ვერ ვურთიერთობ). თუ ადამიანს შეუძლია თავისი წილის, კუთვნილის გაზიარება, გაყოფა მეორე ადამიანისთვის, ჩემთვის ის უკვე არის ადამიანი! და მაინც, სიყვარული გულწრფელად ვისაც შეუძლია, ყველა ადამიანი არის მომხიბვლელი. ამას კი ეროვნება არ აქვს. ეს გვაერთიანებს ადამიანებს.

- თქვენი თვალით დანახული ნიუ-იორკის და იქაურთა ცხოვრების სტილი და წესი...

- აქ იმდენი სტილისა და წესის ადამიანი დადის, რამდენიც მთელ დედამიწაზეა. რა თქმა უნდა, ყველა ინდივიდი მოსაწონი ვერ იქნება, მაგრამ ჩაცმისა და ქცევის სტილზე რომ ვთქვა, ხშირად მიფიქრია, ახლა დამანახა კლასიკური სამოსით გამოწყობილი, დახვეწილი მანერის მქონე ადამიანი-მეთქი. თუმც, არც კლასიკური სამოსის ქონა უჭირთ ამერიკაში მცხოვრებთ. მაგრამ აქ ისეთი მანძილია გასავლელი, რომ მუდმივმა ასეთმა რეჟიმმა მოიტანა თავისუფალი ჩაცმულობა. იქიდან გამომდინარე, რომ უდიდესი ქალაქია, ყველა ცდილობს, იცხოვროს შედარებით მსუბუქად.

- გამოცდილება, რომელიც ცხოვრებამ შეგძინათ, რა დასკვნის შესაძლებლობას გაძლევთ?

- შეიყვარე ღმერთი, იცხოვრე მშვიდად და თავისუფლად. დიახ, ღმერთის შეყვარებით იწყება ყველაფრის შეყვარება, შეყვარება მისი შექმნილი სიცოცხლისა. რაც გიყვარს, უფრთხილდები, რაზეც ზრუნავ და უფრთხილდები, კიდევ უფრო მეტად გიყვარდება. სიყვარული ერთადერთია, რომ ხარჯავ და... ბევრდება, გაბევრებული სიყვარული კი ცხოვრების აზრი და შინაარსია. იქნება წყენა, ტკენა, ღალატი, შური, გაუტანლობა, ამპარტავნება, მაგრამ უბედურება ის იქნება, სხვისი არაკეთილსინდისიერებით დათრგუნული ან დაზარალებული, ღმერთს რომ განუდგები და საკუთარ თავსაც. სიყვარული ყველაფერს ფარავს. სხვა ყველაფერი: წოდებები, სტატუსები, თანამდებობები დღეს არის და ხვალ აღარ იქნება. მხოლოდ იმ ადამიანს ექნება მუდმივი სიხარული, ვინც ცხოვრობს რწმენით, რომელიც ჭეშმარიტებას ეფუძნება და რომლისგანაც გამომდინარეობს სუფთა, უთვალთმაქცო, ადამიანური გრძნობები და საქმეები.

- დასასრულ, რას ეტყვით ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

- ბოლო დროს არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისები ცხადყოფს, რომ ცხოვრება უფრო და უფრო რთული ხდება. მიუხედავად ამ ყველაფრისა, გვიყვარდეს ერთმანეთი, გულთან მივიტანოთ სხვისი გასაჭირი და „სიკეთიანი“ ხელები ჩავჭიდოთ ერთმანეთს. გაცემას მეტი ბედნიერება მოაქვს, ვიდრე მიღებას. ჩემგან კი უდიდესი მადლობა და სიყვარული - თქვენ!

„ბათუმი ის ქალაქია, რომელზეც ლექსები უნდა წერო, თუ პოეტი ხარ“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის მწერალთა სახლმა პროექტ „ბათუმური პოეზიის განწყობით“ ფარგლებში, პოეტ მარინა თექთუმანიძეს უმასპინძლა

როგორც მან აღნიშნა, ხანდახან ერიდება კიდეც საღამოზე დამსწრე ადამიანების, რომ მათ ვერცერთ მხიარულ ლექსს ვერ წაუკითხავს, რადგან მისი პოეზია ტკივილითაა სავსე. თვლის, რომ თითოეული ადამიანი არის სამყარო და რაც ამ „მინი“ სამყაროში ხდება, ირგვლივაც ის ემოცია ვითარდება.

პოეტი განსაკუთრებული სიყვარულით მოეფერა ბათუმს.

- ხშირად ვამბობ, საქართველოში, თბილისის გარდა, 2-3 ქალაქია, სადაც სიამოვნებით ვიცხოვრებდი. ერთ-ერთი ბათუმია. ბათუმელებთან შეხვედრა ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ვიცი, როგორ უყვართ პოეზია, როგორ იციან ლექსის ფასი. აქ ძალიან თბილი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე ხალხი ცხოვრობს. ბათუმი ის ქალაქია, რომელზეც ლექსები უნდა წერო, თუ პოეტი ხარ. საერთოდ, აჭარა მიყვარს თავისი ალალმართალი ადამიანებით, მაღალმთიანი აჭარა ხომ საოცრებაა. აქაური პოეტები, ჩემი შვილობილები არიან, ამ ბავშვების წარმატებებით ვხარობ, - თქვა მარინა თექთუმანიძემ.

კითხვაზე, დღეს საქართველოში ისმის თუ არა პოეტის ხმა, გვიპასუხა, რომ პოეტები თუ მწერლები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომელთა ხმა ხან მძლავრად, ხან კიდევ ნაკლებად ისმის.

- შეიძლება პოეტი მეორე ადამიანზე ერთი ცრემლით, ერთი სიხარულით მეტი იყოს, მაგრამ არამც და არამც, მათგან გამორჩეული. მწერლები, ისევე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, თავიანთი ღირსებისა და ნაკლოვანებების მატარებლები არიან. თუკი ვინმე რამეს წერს, პროზაიკოსი იქნება თუ პოეტი, დღეში ათჯერ უნდა უთხრას მადლობა უფალს, რომ ეს ნიჭი მომადლა მას. მადლობა და მადლიერება უფალს თითოეული სტრიქონისათვის, რომელსაც განმაცდევინებს და მაწერინებს. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებამ ძალიან ბევრჯერ მატკინა გული, მაინც ვთვლი, რომ ბედნიერი ვარ. როგორ შეიძლება ბედნიერი არ იყო თუნდაც იმიტომ, რომ სამყაროს სილამაზის აღქმა შეგიძლია, ირგვლივ ამდენი საყვარელი ადამიანები გახვევია? შეუძლებელია! უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, თუ გვინდა გადავრჩეთ, ერთმანეთს ტკივილები უნდა შევუმსუბუქოთ - გვითხრა პოეტმა.

ერთობლივი კონცერტი – ახალგაზრდების ხელშესაწყობად

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ერთობლივი კონცერტი გაიმართა

ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის საოპერო და საორკესტრო მიმართულების სტუდენტებმა, მუსიკალური ცენტრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, სხვადასხვა საოპერო ნაწარმოებიდან მუსიკალური ნომრები შეასრულეს და დამსწრეთა მხურვალე ოვაციები დაიმსახურეს. როგორც საღამოს ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ამ მასშტაბის ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზანი ორკესტრთან ერთად მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება და სამომავლოდ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონში საორკესტრო საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში საორკესტრო მიმართულების სტუდენტებისთვის სწავლა უფასოა.

- წელიწადში ერთხელ, მემორანდუმის საფუძველზე, ვმართავთ ერთობლივ კონცერტს. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, ორკესტრთან სინთეზში წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედება. აღსანიშნავია, რომ ხელოვნების უნივერსიტეტს ჰყავს ძალიან კარგი სტუდენტები საორკესტრო მიმართულებით. სამი მათგანი უკვე აიყვანეს ორკესტრში ინსტრუმენტალისტებად. ახალგაზრდებში საკმაოდ პოპულარულია საოპერო მიმართულება. ჩვენი უნივერსიტეტის ბევრი კურსდამთავრებული დღეს წარმატებით მოღვაწეობს საქართველოსა თუ ევროპაში. მინდა თითოეულ სტუდენტს, რომელიც ახლა ეუფლება საოპერო ხელოვნებას, წარმატებები ვუსურვო. ისინი ასახელებენ როგორც ქვეყანას, ასევე ქალაქს, - გვითხრა ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის პროფესორმა თამაზ ცერიაშვილმა.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტის (აკადემიური სიმღერის მიმართულება) ირაკლი ჯინჭარაძის თქმით, თითოეული კონცერტი, მაყურებელთან შეხვედრა, ორკესტრის თოთოეულ წევრთან ურთიერთობა მნიშვნელოვანი გამოცდილებაა მისთვის. თვლის, რომ მსგავსი ტიპის პროექტები მას და მის თანატოლებს აძლევს ნიჭის წარმოჩენისა და პროფესიული ზრდის უნიკალურ შესაძლებლობას.

სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი და ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ერთობლივ ღონისძიებებს საზოგადოებას მომავალშიც შესთავაზებენ.

იალაღებზე მისასვლელი გზები იწმინდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მესხეთის, აჭარა-გურიის, ქედების კალთებზე 35-ზე მეტი იალაღია, სადაც ზაფხულში ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა პირუტყვს აძოვებს და მეცხოველეობის პროდუქტებს ამზადებს. მათთვის ნორმალური შრომითი პირობების შექმნისთვის ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ზრუნავს.

ამ ეტაპზე იაილებში მისასვლელი საავტომობილო გზების თოვლისა და ზამთრის ნარჩენებისგან გაწმენდითი სამუშაოები დასრულებულია ვაშლოვანის, გოდერძის, ლოდიძირის, საკამბეჩოს, სარიჩაირის, მწვანე ტბის, ბეშუმის, მეხალაშვილების, ყვირალის, აგარის, ნათელათის, ვერნების, ბოდიშის, სათოვლიას, საჯოგიასა და ლეკნარის მიმართულებით. სამუშაოები გრძელდება ზოტიყელის, წიფნარის და ჩუდურაულის მიმართულებით.

მიმდინარე სამუშაოებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე როლანდ ბოლქვაძე და აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხულოს განყოფილების უფროსი ომარ ლომიძე გაეცნენ.

- საზაფხულო იალაღებზე მისასვლელი საავტომობილო გზების სამუშაოები ეტაპობრივად, ხულოს მუნიციპალიტეტის ყველა მთაში უახლოეს დღეებში დასრულდება, - გვითხრა როლანდ ბოლქვაძემ.

მალე პირუტყვს თაგინურზე გადარეკავენ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილებიდან თაგინურის მთაში მისასვლელი საავტომობილო გზა 25 კილომეტრამდეა. რამდენიმე დღეს მოუნდნენ მექანიზატორები ამ მონაკვეთის გაწმენდას. ივნისის პირველი დღეებიდან მეცხოველე ფერმერები თაგინურზე პირუტყვს გადარეკავენ.

თაგინურის მიმართულებით გაწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობას შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, მერის მოადგილე გურამ ზოიძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ტაკიძე, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის შუახევის განყოფილების უფროსი ვიტალი ხიმშიაშვილი გაეცნენ.

- შუახევში საზაფხულო იალაღებზე მისასვლელი გზების თოვლის საფარისგან გაწმენდით სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი აწარმოებს. სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. უახლოეს დღეებში ყველა მთა უზრუნველყოფილი იქნება ნორმალური გზებითა და ელექტრომომარაგებით. ზაფხულში ამოქმედდება იაილებში მგზავრთა უფასო მომსახურების პროგრამა, რითაც, ადგილობრივებთან ერთად, ტურისტებიც ისარგებლებენ, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მაყვალა მორჩილაძე-ცეცხლაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნინო ნუგზარის ასული ბიბინიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 30/05/24, 19 15 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

„ქორეოგრაფიული დიაგრამა“ – საბალეტო სკოლის გამოსაშვები სალამო

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

29 მაისს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის გამოსაშვები საღამო სახელწოდებით - „ქორეოგრაფიული დიაგრამა“ გაიმართა. მასში სასწავლებლის ყველა ასაკობრივმა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა. წარმოადგინეს როგორც კლასიკური რეპერტუარიდან ნაწყვეტები, ასევე ქართული ეროვნული ბალეტის სცენები

გასული სასწავლო წელი საბალეტო სკოლისთვის წარმატებული იყო. აღსაზრდლებმა არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე მიიღეს მონაწილეობა და გრან პრის მფლობელებიც გახდნენ. კონცერტზე გახდა ცნობილი, რომ ლიეტუვაში, რიგაში გამართული კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის შედეგების შეჯამების შემდეგ, საბალეტო სკოლამ ჟიურის ერთ-ერთი წევრის ჯოზეფ მორისეისგან („საერთაშორისო არტ აკადემიის“ დირექტორი (აშშ), ოფიციალური წერილი მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ელენე ბარათაშვილმა სასწავლო გრანტი მიიღო და ის ამერიკის მუსიკალურ სასწავლებელში - „საერთაშორისო არტ აკადემიაში“ ერთწლიანი პროგრამის ფარგლებში მიიწვიეს. აღსანიშნავია, რომ ამ აკადემიის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, გააგრძელონ მუშაობა მსოფლიოს სხვადასხვა საბალეტო თეატრის სცენებზე, როგორებიცაა: ბოსტონის ბალეტი, მარსელის ნაციონალური ბალეტი, ლიეტუვას ეროვნული ბალეტი, ფილადელფიისა და ნიდერლანდების თეატრები.

- აუცილებლად გავაგრძელებ ბალეტში ცეკვას, ეს ჩემს სამომავლო გეგმებში შედის. უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ სწორედ ეს არის ის სფერო, სადაც საკუთარ თავს ვხედავ მომავალში. მადლობელი ვარ, რომ ამერიკის საერთაშორისო არტ აკადემიამ, ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი შანსი მომცა, შანსი იმისა, რომ კარიერაში წინსვლა მქონდეს და ეს არის ჩემთვის ძალიან დიდი შესაძლებლობა, - გვითხრა ელენე ბარათაშვილმა.

- მორიგ ჯერზე საბალეტო სკოლამ წარმოადგინა არაჩვეულებრივი სანახაობა, სადაც ჩვენი ქალაქის ნიჭიერმა ახალგაზრდებმა საკმაოდ რთული კომპოზიციები და ნომრები შეასრულეს. მინდა აღვნიშნო, რომ შემთხვევითი არ არის, ეს ახალგაზრდები ყველა საერთაშორისო კონკურსიდან და ღონისძიებიდან გამარჯვებულები, გრან პრით რომ ბრუნდებიან. მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო მათ ის წარმატებები, უკვე წელს რომ ჰქონდათ და ვუსურვო, მომავალშიც არაერთი მსგავსი და უფრო დიდი წარმატება! - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტმა მაია ხაჯიშვილმა.

- ჩვენი საბალეტო სკოლა, ტრადიციულად, მაისის თვეში მართავს საანგარიშო გამოსასვლელ საღამოს. წლევანდელ ღონისძიებას „ქორეოგრაფიული დიაგრამა“ ვუწოდეთ, რადგან ჩვენი სკოლის ყველა ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. პროგრამაში იყო როგორც კლასიკური, ასევე, სახასიათო, თანამედროვე და ქართული საცეკვაო ნომრები, ცნობილი საბალეტო სპექტაკლებიდან აღებული ცალკეული ვარიაციები და საკონცერტო ნომრები, რომლებიც ჩვენმა მოსწავლეებმა შეასრულეს. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სკოლის ცხოვრებაში ეს წელიწადი - ორ საერთაშორისო კონკურსში ვმონაწილეობდით და ორივეზე გრან პრის მფლობელები გავხდით. ამასთანავე, ჩვენი სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე ელენე ბარათაშვილი სწავლის გასაგრძელებლად მიწვეულია ამერიკის „საერთაშორისო არტ აკადემიაში“, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, - გვითხრა ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის დირექტორმა ირმა მსხალაძემ.

თუ ადამიანი ნიჭიერია, ეს ყველაფერში მჟღავნდება

ირინა ბურკაძე 27 48 93

ამ სიტყვების ნათელი დადასტურებაა საინტერესო იდეებით ცნობილი საოპერო მომღერლის ერეკლე გურგენიძის ახალი პროექტი „სალონური საღამოები რეგიონებში - თაქთაქიშვილი-100“, რომელშიც სრულად გამოჩნდა ამ ხელოვანის როგორც შემოქმედებითი, ისე ორგანიზატორული შესაძლებლობები

ეს პროექტი ორი საგრანტო კონკურსის (აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის და ბათუმის მერიის) გამარჯვებულია და მიზნად ისახავს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას რეგიონებში, მოზარდ თაობაში საოპერო მუსიკისადმი ინტერესის გაღვივებას. პროექტის ერთ-ერთი ძირითადი კონცეფციაა ქართული სალონური საღამოების ტრადიციების აღდგენა, რომლებშიც მონაწილეობენ სხვადასხვა სფეროს ხელოვანები. ამ სიახლეს სიხარულით ხვდებიან, როგორც საღამოს გმირები, ისე მაყურებლები. აღნიშნული პროექტის იდეა ჯერ კიდევ 2019 წელს გაჩნდა, ახალგაზრდა მუსიკოსებმა არაერთი საინტერესო კონცერტი გამართეს საქართველოს დედაქალაქში, პანდემიის პერიოდში კი სალონურმა საღამოებმა ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლა, რასაც განსაკუთრებული მოწონებით შეხვდა მაყურებელი. 2021 წლის ზაფხულში, შეზღუდვების მოხსნის შემდეგ არაერთი სალონური საღამო ჩატარდა აჭარის სხვადასხვა რეგიონში.

ამჯერად კონცერტების ციკლი ეძღვნება ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ ქართველ კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილს. საღამოები გაიმართა ქედაში, ქობულეთში, ხელვაჩაურში და, რა თქმა უნდა, ბათუმში, რასაც, უდავოდ, დიდი წარმატება მოჰყვა სხვადასხვა ასაკის მაყურებელთა შორის. ამ წარმატებაში საგრძნობი წვლილი შეიტანა რეჟისორმა მაია გაჩეჩილაძემ, რომელმაც საოპერო მომღერალთა კონცერტისთვის მომგებიანი, თეატრალიზებული, კოსტიუმირებული სცენების ფორმატი აირჩია. მას ამაში დაეხმარა სცენოგრაფი ნეიკო ნეიძე, რომელმაც თავისი ჩანაფიქრით ატმოსფერო გააცოცხლა.

საღამოზე, რომელმაც ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო, პროფესიული თეატრის დარბაზში ჩაიარა, ნამდვილი მელომანები სასიამოვნო სიურპრიზების მოლოდინში შეიკრიბნენ. მაყურებელთა შორის გახლდათ ცნობილი კინორეჟისორი, ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი სოსო ტუღუშიც. საღამოს ორგანიზატორებმა ეს შესაძლებლობა გამოიყენეს და მას კონცერტის დაწყებამდე სიტყვით გამოსვლა შესთავაზეს. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერით, სოსო ტუღუშმა საინტერესოდ ისაუბრა დიდი მაესტროს ბიოგრაფიის ფართო პუბლიკისთვის უცნობი დეტალების შესახებ, გაიხსენა მასთან შეხვედრები. კომპოზიტორსა და მის შემოქმედებაზე ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობის მარინა ბურდულის შესანიშნავ მონათხრობს ცვლიდა თეატრალიზებული მუსიკალური ნომრები, რაც აღსაქმელად ფრიად სასიამოვნო იყო. საღამოს საერთო სურათში ორგანულად ჩაეწერა ახალგაზრდა კომპოზიტორ ბეგი ნიკოლეიშვილის ნაწარმოებები, რომლებიც პირველად შესრულდა. კომპოზიტორმა თავად შემოგვთავაზა საფორტეპიანო პარაფრაზი თაქთაქიშვილის თემაზე, ასევე, კომპოზიცია „აფხაზეთი“, რომელიც ავტორის აკომპანიმენტით ვოკალისტმა ერეკლე გურგენიძემ იმღერა. ამ ნაწარმოებს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, ვინაიდან, მოგეხსენებათ, მაესტრო თავადების - აფხაზ ვასილ ჩაჩიბაიასა და ელისაბედ თაქთაქიშვილის ოჯახიდან გახლდათ და ბუნებრივია, ძალიან უყვარდა აფხაზეთი.

ოთარ თაქთაქიშვილის ბიოგრაფია სავსეა მნიშვნელოვანი თარიღებით. 1944 წელს, ჯერ კიდევ კონსერვატორიის მესამე კურსზე სწავლის პერიოდში, მან თბილისში გამართულ საქართველოს ჰიმნის კონკურსზე გაიმარჯვა. დიპლომი 1947 წელს აიღო, ასპირანტურა 1950 წელს დაამთავრა, ხოლო 1951 წელს თავისი პირველი პრემია დაიმსახურა. ამ დროიდან ოთარ თაქთაქიშვილი ქართველ კომპოზიტორებს შორის გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს და მალევე ხდება ქართული მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1961-1962 წლებში იგი გახლდათ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, იუნესკოსთან არსებული საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ქართული კლასიკის საუკეთესო ტრადიციების მიმდევარმა ოთარ თაქთაქიშვილმა შექმნა არაერთი ნაწარმოები, რომლებიც ქართული ეროვნული კულტურის ოქროს ფონდშია შესული.

სალონური საღამოს ორგანიზატორებმა კონცერტისთვის ისეთი ცნობილი და საყვარელი ოპერებიდან შეარჩიეს არიები, როგორებიცაა „მინდია“, „პირველი სიყვარული“, „მთვარის მოტაცება“ და სხვა. ისინი ბრწყინვალედ შეასრულეს ბათუმის საოპერო სტუდიის სოლისტებმა ზაზა ხამათაშვილმა და ნონა კორიფაძემ, ასევე, ერეკლე გურგენიძემ, ირაკლი კორიფაძემ და მარიამ შარაშენიძემ. მათ აკომპანიმენტს უწევდა საქართველოს დამსახურებული არტისტი ნატალია ჭანტურიშვილი. მან ერთ-ერთ თავის ინტერვიუში საგანგებოდ აღნიშნა: „ძალიან მომწონს ახალგაზრდებთან მუშაობა. ასეთი პროექტები აუცილებელია. შემოქმედი ადამიანისთვის ისინი ფრიად ფასეულია“, ნონა კორიფაძე კი ამბობს: „ამ პროექტში ძმასთან და მეუღლესთან ერთად ვმონაწილეობ. მიხარია, რომ ერეკლემ მოგვიწვია. ასეთი პროექტები გამოცდილებას გვმატებს. რაც უფრო მეტში მონაწილეობ, მით უფრო იზრდები შემოქმედებითი ოსტატობის თვალსაზრისით“.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერს ოთარ თაქთაქიშვილის ცნობილი სიტყვები: „კომპოზიტორები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მასშტაბითა და ტალანტის მიმართულებით, მაგრამ თუ ისინი ნამდვილად ხალხისთვის ქმნიან თავიანთ ნაწარმოებებს, აუცილებელია ხალხური მუსიკის ცოცხალი ატმოსფერო“. ამ აზრს ეხმიანება კომპოზიტორის მეორე გამონათქვამიც: „ქართული სიმღერის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია სამუზეუმო ფასეულობად არ გადაიქცა, იგი აგრძელებს სიცოცხლეს თანამედროვეობაში“.